# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 382

„7“ სექტემბერი 2021 წ

ქ. თბილისი

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების“ და შპს „თბილსერვის ჯგუფისა“ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (EBRD) „პროექტის ხელშეკრულების“ გაფორმებასთან დაკავშირებით, თანხმობის მიცემის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-100 მუხლის შესაბამისად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება“-ის და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-სა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (EBRD) „პროექტის ხელშეკრულების (თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი)“ გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის პირველი სექტემბრის N21.1193.1345 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების“ და შპს „თბილსერვის ჯგუფსა“ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „პროექტის ხელშეკრულების“ (თბილისის მუნიციპალური მომსახურეობის პროექტი) გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 01 სექტემბრის N21.1193.1345 განკარგულების დანართებით წარმოდგენილი ხელშეკრულებების პროექტების შესაბამისად ხელშეკრულებების გაფორმებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

(საოპერაციო ნომერი 52577)

პროექტის ხელშეკრულება

(თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი)

შპს ,,თბილსერვის ჯგუფსა"

და

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს
შორის

თარიღი [________________] 2021

# სარჩევი


მუხლი I – სტანდარტული ვადები და პირობები, ტერმინების განმარტებები 2
ნაწილი 1.01. სტანდარტული ვადები და პირობების გათვალისწინება 2
ნაწილი 1.02. განმარტებები 2
ნაწილი 1.03. ინტერპრეტაცია 5

მუხლი II – პროექტის განხორციელება 5
ნაწილი 2.01. პროექტთან დაკავშირებული ვალდებულებები 5
ნაწილი 2.02. პროექტის ჯგუფი 6
ნაწილი 2.03. შესყიდვები 6
ნაწილი 2.04. გარემოსდაცვით და სოციალურ ნორმებთან შესაბამისობა 6
ნაწილი 2.05. კონსულტანტები 8
ნაწილი 2.06. ანგარიშგების სიხშირე და მათი წარდგენის მოთხოვნები 8

მუხლი III – ფინანსური და საოპერაციო ვალდებულებები 12
ნაწილი 3.01. ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშები 12
ნაწილი 3.02. უარყოფითი ფინანსური დათქმები 13
ნაწილი 3.03. სხვა ფინანსური დათქმები 14
ნაწილი 3.04. გირაოს აკრძალვა 14
ნაწილი 3.05. საქმიანობის წარმოება და ფუნქციონირება 15

მუხლი IV – სხვადასხვა 15
ნაწილი 4.01. ძალაში შესვლა–ამოქმედება 15
ნაწილი 4.02. გაუქმება და შეწყვეტა 15
ნაწილი 4.02. შეტყობინებები 16

განრიგი 1 – შესყიდვების გეგმა ..........................................................18
განრიგი 2 – გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა ...............19

## პროექტის ხელშეკრულება

**ხელშეკრულება** დათარიღებულია 2021 წლის _______________ და ფორმდება შპს „თბილსერვის ჯგუფსა" (შემდგომში „პროექტის ორგანიზაცია") და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (შემდგომში „ბანკი") შორის.

## პრეამბულა

**ვინაიდან** საქართველომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა (შემდგომში „ქალაქის მუნიციპალიტეტი") და პროექტის ორგანიზაციამ ბანკისგან ითხოვეს დახმარება პროექტის დაფინანსების მიზნით;

**ვინაიდან** საქართველოსა (შემდგომში „მსესხებელი") და ბანკს შორის მითითებული თარიღით გაფორმებული სასესხო შეთანხმების (შემდგომში „სტანდარტულ ვალებსა და პირობებში" განსაზღვრული „სასესხო შეთანხმება") შესაბამისად, ბანკი თანახმაა მსესხებელს გამოუყოს სესხი 9,600,000 (ცხრა მილიონ ექვსასი ათასი) ევროს ოდენობით, სასესხო შეთანხმებაში განსაზღვრული პირობების საფუძველზე, იმ პირობით, რომ პროექტის ორგანიზაცია წინამდებარე ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ვალდებულებებს იკისრებს;

**ვინაიდან** პროექტის განხორციელების მიზნებისთვის, ქალაქის მუნიციპალიტეტს, პროექტის ორგანიზაციასა და მსესხებლის ფინანსთა სამინისტროს შორის გასაფორმებელი ქვესასესხო ხელშეკრულების თანახმად (შემდგომში „ქვესასესხო ხელშეკრულება"), მსესხებელი აცხადებს თანხმობას სასესხო რესურსი ხელმისაწვდომი გახადოს ქალაქის მუნიციპალიტეტისათვის პროექტის განხორციელების მიზნით;

**ვინაიდან,** ქალაქის მუნიციპალიტეტი სესხს ხელმისაწვდომს გახდის პროექტის ორგანიზაციისთვის პროექტის მიზნებიდან გამომდინარე;

**ვინაიდან** პროექტის ორგანიზაცია თანხმობას აცხადებს წინამდებარე ხელშეკრულებაში განსაზღვრული ვალდებულებების აღებაზე იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ბანკმა სასესხო შეთანხმება გააფორმა მსესხებელთან.

**შესაბამისად,** მხარეები თანხმობას აცხადებენ შემდეგზე:

## მუხლი I – სტანდარტული ვადები და პირობები და ტერმინების განმარტებები

### ნაწილი 1.01. სტანდარტული ვადებისა და პირობების გათვალისწინება

ბანკის 2018 წლის 1 ოქტომბრით დათარიღებული „სტანდარტული ვადებისა და პირობების" ყველა დებულება, სასესხო შეთანხმებაში შეტანილი ცვლილებებით აქვეა გათვალისწინებული და გამოიყენება წინამდებარე ხელშეკრულებაში იმავე ძალითა და ეფექტით, როგორც უშუალოდ აქ იქნებოდა სრულად განსაზღვრული. (ხსენებული დებულებები ამგვარი სახეცვლილებით მოიაზრება „სტანდარტულ ვადებად და პირობებად"):

### ნაწილი 1.02. ტერმინების განმარტებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში (პრეამბულისა და განრიგების ჩათვლით) გამოყენებული ტერმინები, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც კონტექსტი სხვაგვარად მოითხოვს, განმარტებულია პრეამბულაში მითითებული მნიშვნელობებით, ხოლო „სტანდარტულ ვადებსა და პირობებში" და სასესხო ხელშეკრულებაში განსაზღვრული ტერმინები – იქვე მითითებული მნიშვნელობებით და ქვემოთ მოყვანილი ტერმინები განიმარტება შემდეგნაირად:

„ავტორიზაცია" გულისხმობს ნებისმიერ თანხმობას, რეგისტრაციას, შეტანილ განაცხადს, შეთანხმებას, ნოტარიალურ დამოწმებას, სერთიფიკატს, ლიცენზიას, დამტკიცებას, ნებართვას, უფლებამოსილებას ან უფლებამოსილების ჩამორთმევას უფლებამოსილი პირისა ან მის მიერ, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა გაცემული თუ შეჩერებული უშუალოდ გამოხატული ქმედებით ან გაცემულად ან შეჩერებულად ითვლება უმოქმედების გამო განსაზღვრული ვადის განმავლობაში და ყველა კორპორატიული, კრედიტორისა და აქციონერის დამტკიცება ან თანხმობა.

"უფლებამოსილი პირი" გულისხმობს მსესხებლის მთავრობას, იქნება ეს სახელმწიფო, რეგიონალური თუ ადგილობრივი და ნებისმიერი სააგენტო, ორგანო, ფილიალი, დეპარტამენტი, მარეგულირებელი ორგანო, სასამართლო, ცენტრალური ბანკი ან სხვა პირი, რომელიც ახორციელებს აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო, საგადასახადო, მარეგულირებელ ან ადმინისტრაციულ უფლებამოსილებებს ან ფუნქციებს ან ეხება მთავრობას ან მის რომელიმე ქვედანაყოფს (მათ შორის ნებისმიერ

ზესახელმწიფოებრივ ორგანოს) და ყოველივე ზემოაღნიშნული უწყების ყველა თანამდებობის პირს, აგენტსა და წარმომადგენელს.

| | |
|---|---|
| „შესრულების დადგენილი მოთხოვნები / კრიტერიუმები" | გულისხმობს პირველი რვა და მე-10 „შესრულების მოთხოვნას" (ან როგორც ეს შესაძლოა კონტექსტმა მოითხოვოს, ნებისმიერი ერთი „შესრულების მოთხოვნათაგან" (Performance Requirement)). „შესრულების მოთხოვნები" 2014 წლის მაისით თარიღდება და უკავშირდება 2014 წლის მაისში დამტკიცებულ ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკას. |
| „გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა" | გულისხმობს გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენის შემარბილებელი და გასაუმჯობესებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმას, რომელიც შეთანხმებულია ბანკსა და პროექტის ორგანიზაციას შორის [20---] წლის [*თარიღი*] და რომლის ასლი თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას როგორც განრიგი 2 და რომელიც დროდადრო, შესაძლოა, დაექვემდებაროს ცვლილებებს ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში ნაწილი 2.04 (დ) შესაბამისად. |
| „გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობა" | გულისხმობს ნებისმიერ შესაბამის კანონს ან კანონქვემდებარე აქტს, რომელიც უკავშირდება შემდეგს:<br><br>(ა) გარემოს დაბინძურებას ან დაცვას, მათ შორის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესახებ არსებულ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს, ან<br><br>(ბ) შრომითი ურთიერთობების რეგულირებისა და დასაქმების პირობებს,<br><br>(გ) სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პირობებს,<br><br>(დ) საზოგადოებრივ ჯანდაცვას, უსაფრთხოებას და დაცულობას,<br><br>(ე) მკვიდრ მოსახლეობას;<br><br>(ვ) კულტურულ მემკვიდრეობას; ან<br><br>(ზ) განსახლებას ან ადამიანების ეკონომიკურ მიგრაციას. |

| | |
|---|---|
| „გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები“ | გულისხმობს ნებისმიერ საკითხს, რომელიც უკავშირდება გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობის ნებისმიერ კანონს ან კანონქვემდებარე აქტს, „შესრულების დადგენილ მოთხოვნას“ ან გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმას. |
| „ფისკალური წელი“ | გულისხმობს პროექტის კომპანიის ფისკალურ წელს, რომელიც ყოველი ცალკეული წლის 1 იანვარს იწყება და სრულდება 31 დეკემბერს. |
| „პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი“ | გულისხმობს პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების 2.02 ნაწილში. |
| „დადებითი საკუთარი კაპიტალი“ | გულისხმობს ისეთ გარემოებას, როდესაც პროექტის ორგანიზაციის აქტივების ჯამური ღირებულება აღემატება მისი ვალდებულებების ჯამურ ოდენობას. |
| „შესყიდვების გეგმა“ | გულისხმობს პროექტისთვის შემუშავებულ შესყიდვების გეგმას, რომელიც განრიგში I არის წარმოდგენილი და რომელიც შეიძლება დროდადრო დაექვემდებაროს ცვლილებებს პროექტის ორგანიზაციის მხრიდან ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. |
| „პროექტის ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენელი“ | გულისხმობს პროექტის ორგანიზაციის დირექტორს. |
| „წესდებები“ | გულისხმობს პროექტის ორგანიზაციის წესდებას, როგორც ეს დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N 06.25.180 დადგენილებით 2018 წლის 14 თებერვალს. |

**ნაწილი 1.03. ინტერპრეტაცია**

სხვაგვარად განსაზღვრული შემთხვევების გარდა, წინამდებარე ხელშეკრულების კონკრეტულ მუხლზე, ნაწილზე ან განრიგზე მითითება გულისხმობს უშუალოდ ამგვარ მუხლზე, ნაწილზე ან განრიგზე მითითებას.

## მუხლი II – პროექტის განხორციელება

**ნაწილი 2.01. პროექტთან დაკავშირებული ვალდებულებები**

(ა) პროექტის ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს პროექტის A ნაწილი. ამ მიზნით, მას ეკისრება შემდეგი ვალდებულებები, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ბანკთან სხვაგვარად არ შეთანხმდება:

(1) განახორციელოს პროექტის განხორციელების პროგრამა განრიგში 1 განსაზღვრულის თანახმად და

(2) გამოიყენოს ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ფინანსური რესურსი მხოლოდ პროექტის დასასრულებლად, განრიგში 1 განსაზღვრულის თანახმად.

(ბ) წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის:

(1) ნებისმიერი მინიშნება „მსესხებელზე" სტანდარტული ვადებისა და პირობების შემდეგ ნაწილებში: 4.02(ა), 4.02(გ), 4.02(დ), 4.02(ე), 4.02(ვ), 4.04, 5.01(ბ) და 5.02(გ)(iii) უნდა მიემართოს პროექტის ორგანიზაციაზე და მათში განსაზღვრული ვალდებულებები თანაბრად დაეკისროს პროექტის ორგანიზაციას; და

(2) ნებისმიერი მინიშნება „სესხის ხელშეკრულებაზე" „სტანდარტული ვადებისა და პირობების" შემდეგ ნაწილებში 4.02(ა), 4.03, 4.04 და 5.02(გ) უნდა მიემართოს წინამდებარე ხელშეკრულებას.

(გ) პროექტის ორგანიზაცია კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის პროგრამების საკონსულტაციო კონტრაქტების გაფორმებიდან არაუგვიანეს 24 თვისა, ქალაქის მუნიციპალიტეტთან დადებს საჯარო მომსახურების კონტრაქტს; და

(დ) პროექტის ორგანიზაცია, კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის პროგრამებზე საკონსულტაციო კონტრაქტების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 თვისა, დანერგავს და მას შემდგომ ნებისმიერ დროს შეასრულებს კორპორატიული განვითარების და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის პროგრამებს.

**ნაწილი 2.02. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი**

პროექტის განხორციელების ყველა ასპექტის კოორდინაციის, მართვისა და შეფასების მიზნით, მათ შორის საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვისთვის, პროექტის ორგანიზაციამ, თუ ბანკი სხვაგვარად არ დათანხმდება, უნდა დანიშნოს და პროექტის მსვლელობის მთელ პერიოდში ადეკვატური რესურსებითა და შესაბამისი კვალიფიკაციის კადრებით ამუშაოს პროექტის ჯგუფი ბანკისათვის მისაღები უფლებამოსილების ფარგლებში.

## ნაწილი 2.03. შესყიდვები

სტანდარტული ვალებისა და პირობების ნაწილის 4.03 მიზნებისთვის პროექტისთვის საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვების სფეროში შემდეგი პირობები უნდა იყოს განმსაზღვრელი იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ბანკთან სხვაგვარად იქნება შეთანხმებული. ამგვარი შესყიდვების დაფინანსება სასესხო რესურსებიდან უნდა განხორციელდეს:

(ა) ნებისმიერი საქონელი, სამუშაო და მომსახურება, რომლის შესყიდვაც უნდა განხორციელდეს ღია ტენდერის გზით.

(ბ) 2.03 (ა) ნაწილის მიზნებისთვის ღია ტენდერის პროცედურები განისაზღვრება ბანკის შესყიდვების წესების მე-3 ნაწილის 1-ელ, მე-2 და მე-3 მუხლებში, ხოლო კონსულტანტების შერჩევის პროცედურები განისაზღვრება ბანკის შესყიდვების წესების მე-3 ნაწილის მე-5 მუხლში

(გ) ნებისმიერი კონტრაქტი უნდა დაექვემდებაროს ბანკის შესყიდვების წესებში განსაზღვრულ პროცედურულ ნორმებს განხილვის შესახებ და ასევე უნდა დაექვემდებაროს ბანკის მიერ წინასწარ განხილვას.

## ნაწილი 2.04. დათქმები გარემოსდაცვით და სოციალურ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

„სტანდარტული ვადებისა და პირობების" ნაწილებში: 4.02(ა), 4.04(ა)(iii), და 5.02(გ)(iii) განსაზღვრული ზოგადი დათქმების შეზღუდვის გარეშე, ასევე იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ბანკთან სხვაგვარად არის შეთანხმებული:

(ა) პროექტის ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი კონტრაქტორის მიერ პროექტის განხორციელება შერულების დადგენილი მოთხოვნების/კრიტერიუმების, გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობის, ასევე ნებისმიერი შესაბამისი ეკოლოგიური ნებართვის, ლიცენზიის, სერთიფიკატის და დასტურის თანახმად.

(ბ) ძალაში შესვლის თარიღამდე პროექტის ორგანიზაციამ ბანკს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენის შემარბილებელი და გასაუმჯობესებელი ღონისძიებების შემოთავაზებული გეგმა, რომელიც განსაზღვრული იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური შესრულების მოთხოვნები / შეფასების კრიტერიუმები, სტანდარტები, პოლიტიკა, პროცედურები, პრაქტიკა, კაპიტალური ინვესტიციები და განხორციელების განრიგი, მათ შორის „შესრულების დადგენილი მოთხოვნების" მიღწევაზე და შენარჩუნებაზე მიმართული ზომები. ბანკის მიერ ამ გეგმის დამტკიცების შემდეგ, აღნიშნული გეგმა წარმოადგენს გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმას ამ შეთანხმების მიზნებისათვის.

(გ) ყოველივე ზემოხსენებულის შეზღუდვის გარეშე, პროექტის ორგანიზაცია გულდასმით უნდა ახორციელებდეს და განუხრელად იცავდეს გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმას და მეთვალყურეობას აწარმოებდეს მის/მათ განხორციელებაზე უშუალოდ ამ გეგმაში განსაზღვრული მონიტორინგის დებულებების შესაბამისად.

(დ) პროექტის ორგანიზაცია და ბანკი შეიძლება დროდადრო შეთანხმდნენ გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაში ცვლილებების განხორციელებაზე თავად პროექტის ფარგლებში ან პროექტის ორგანიზაციასთან დაკავშირებული გარემოებების ცვლილების პასუხად, ასევე მოულოდნელ მოვლენებსა და მეთვალყურეობის შედეგებზე რეაგირების მიზნით. ყოველივე ზემოხსენებულის ზოგადი ხასიათის შეზღუდვის გარეშე,

(1) თუ რაიმე საზიანო გარემოსდაცვითი ან სოციალური გავლენა განხორციელდა ან საკითხი წამოიჭრა, რომელიც წინასწარ არ ყოფილა პროგნოზირებული ან განსაზღვრული გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაში სრულად ან სიმძიმის ფაქტიური ხარისხით,

(2) თუ ზემოქმედების შემცირების ზომები, რომლებიც წარმოდგენილია გარემოს დაცვისა და სოციალურ სამოქმედო გეგმაში, არ არის საკმარისი, რომ აღმოფხვრას ან შეამციროს ნებისმიერი გარემოსდაცვითი ან სოციალური ზემოქმედება იმ დონემდე, რომელიც დადგენილია შესაბამისი „შესრულების დადგენილი მოთხოვნებით" / შეფასების კრიტერიუმით, რომლებიც თავის მხრივ განსაზღვრულია გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმით, ან;

(3) წინამდებარე ნაწილის 2.05 (დ) თანახმად, თუ მარეგულირებელი ან აღმასრულებელი ორგანოს მიერ შემოწმებისას ან აუდიტის მსვლელობისას, გარემოსდაცვითი და სოციალურ სამოქმედო გეგმასთან ან რაიმე სხვა გარემოსდაცვით კანონთან მნიშვნელოვანი მატერიალური შეუსაბამობა გამოვლინდება;

ე) პროექტის ორგანიზაციამ, მაშინვე, როცა ეს პრაქტიკულად განხორციელებადია და ბანკის თანხმობით, უნდა განავითაროს და შეიტანოს გარემოს დაცვის და სოციალურ სამოქმედო გეგმაში ისეთი დამატებითი ან განახლებული გარემოზე ზემოქმედების შეამარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც შესაძლოა აუცილებელი იყოს იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს „შესრულების დადგენილი მოთხოვნები", ყოველ ჯერზე ბანკისათვის დამაკმაყოფილებელი ფორმით.

**ნაწილი 2.05. კონსულტანტები**

(ა) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბანკთან სხვაგვარად იქნება შეთანხმებული, პროექტის მსვლელობისას დახმარების აღმოჩენის მიზნით პროექტის ორგანიზაციამ საჭიროებისამებრ უნდა დაიქირავოს ისეთი კონსულტანტები ან უზრუნველყოს მათი დაქირავება, რომელთა კვალიფიკაცია, გამოცდილება და ტექნიკური დავალება შეესაბამება ბანკის მოთხოვნებს, მათ შორის:

(1) კონსულტანტები, კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში დახმარების გასაწევად;

(ბ) პროექტის ორგანიზაციამ წინასწარი საზღაურის გარეშე უნდა უზრუნველყოს პროექტთან ან პროექტის კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე ნებისმიერი კონსულტანტი ყველა საჭირო მხარდაჭერით, რაც საჭირო იქნება მათი ფუნქციების შესასრულებლად და რაც გულისხმობს საოფისე ფართს, ასევე ნებისმიერ

დოკუმენტს, მასალებს და სხვა ინფორმაციას, რაც შეიძლება აქტუალური იყოს პროექტთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებისას.

## ნაწილი 2.06. ანგარიშგების სიხშირე და მათი წარდგენის მოთხოვნები

(ა) ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან სანამ სესხი სრულად დაიფარება ან სანამ სასესხო ხელშეკრულება გაუქმდება, პროექტის ორგანიზაციამ ბანკს უნდა წარუდგინოს წლიური ანგარიშები გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე, რომლებიც პროექტის ორგანიზაციას ან უშუალოდ პროექტს ეხება, რაც განსაზღვრულია სტანდარტული ვადებისა და პირობების ნაწილში 5.02(გ)(iii). ანგარიშის წარდგენა უნდა მოხდეს საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 60 დღის ვადაში. ხსენებული ანგარიშები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შემდეგ კონკრეტულ საკითხებზე:

(1) ინფორმაცია „შერულების დადგენილ მოთხოვნებთან/კრიტერიუმებთან" პროექტის ორგანიზაციის შესაბამისობის შესახებ, როგორც ეს განსაზღვრულია ნაწილში 2.05(ა) და გარემოსდაცვითი და სოციალური გეგმის განხორციელების ნაწილში;

(2) ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ განახორციელა პროექტის ორგანიზაციამ „შესრულების დადგენილ მოთხოვნებთან /კრიტერიუმებთან" თანხვედრის მონიტორინგი და როგორ შეასრულა გარემოს დაცვისა და სოციალური სამოქმედო გეგმა, რომელიც სორციელდება ნებისმიერ კონტრაქტორის მიერ, რომელიც ჩართულია პროექტში; და აგრეთვე, მოკლე შინაარსი ნებისმიერი შემთხვევის შესახებ, როდესაც ამ კონტრაქტორმა ვერ შეასრულა დაკვეთა „შესრულების დადგენილი მოთხოვნების" თანახმად და გარემოს დაცვის და სოციალური სამოქმედო გეგმის მიხედვით და ამგვარი შეუსრულებლობის გამოსასწორებელი ნებისმიერი მოქმედება;

(4) ინფორმაცია დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის გეგმის განხორციელების შესახებ, რომელიც შერულების მე-10, დადგენილ მოთხოვნა/კრიტერიუმში არის მოცემული. ის უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მიღებული საჩივრების და მათი გასაჩივრებული საკითხების მოგვარების შესახებ;

(4) ინფორმაცია პროექტის ფარგლებში გარემოსდაცვით და სოციალურ კანონმდებლობასთან პროექტის ორგანიზაციის შესაბამისობის შესახებ, მათ შორის პროექტის ორგანიზაციის წინააღმდეგ საჩივრის, პროცედურის, განკარგულების ან დაწყებული მოკვლევის აღწერა, პროექტისთვის საჭირო ნებისმიერი ავტორიზაციის სტატუსი, ნებისმიერი მარეგულირებელი ორგანოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი ინსპექტირების შედეგები, მოქმედი კანონების, წესების ან სტანდარტების დარღვევა და ნებისმიერი სასამართლო დაცვის ქმედება ან ჯარიმა, რომელიც ეხება ამ დარღვევას, ნებისმიერი არსებითი შენიშვნის, ანგარიშის და სხვა კომუნიკაციის აღწერა გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შესახებ, რომელიც ეხება პროექტის ორგანიზაციის მიერ მარეგულირებელი ორგანოსთვის წარდგენილ პროექტს და ნებისმიერ სხვა გარემოებას, რომელიც წარმოშობს პროექტის ორგანიზაციის პასუხისმგებლობას გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხთან დაკავშირებით;

(5) ინფორმაცია პროექტის ფარგლებში სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას თანამშრომლების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხების მართვასა და ჩანაწერებთან დაკავშირებით, მათ შორის უბედური შემთხვევების რაოდენობის, დაკარგული დროისა და გაცდენების მონაცემების მითითებით, ასევე ნებისმიერი პრევენციული ან რისკების განეიტრალებისკენ მიმართული ზომები, რომლებიც ხორციელდება ან იგეგმება პროექტის ორგანიზაციის მიერ; კადრების ნებისმიერი გადამზადების კურსები სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ხორციელდება ან იგეგმება პროექტის ორგანიზაციის მიერ;

(6) მოკლე ინფორმაცია გარემოსდაცვით და სოციალურ კანონმდებლობაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რასაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს პროექტზე;

(7) პროექტის ორგანიზაციის მიერ მისი აქციონერებისთვის ან ფართო საზოგადოებისათვის წარდგენილი გარემოს დაცვის და სოციალურ საკითხის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის ასლები

(ბ) წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის/ამოქმედების დღიდან პროექტის ორგანიზაციამ 60 დღეში უნდა წარმოადგინოს „სტანდარტული ვადებისა პირობების" ნაწილში 4.04(ა)(iv) განსაზღვრული კვარტალური ანგარიშები. საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 60 დღის ვადაში უნდა მოხდეს ანგარიშის წარმოდგენა პროექტის დასრულებამდე. ხსენებული ანგარიშები უნდა მოიცავდეს შემდეგ კონკრეტულ ფაქტორებს:

(1) ზოგადი სახის შემდეგ ინფორმაციას:

(ა) პროექტის განხორციელებისას მიღწეული ფიზიკური წინსვლის შესახებ ანგარიშის წარმოდგენის თარიღისთვის და საანგარიშო პერიოდში;

(ბ) პროექტის განხორციელების პროცესში ფაქტიური ან მოსალოდნელი სირთულეები ან შეფერხებები, მათი ეფექტი პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკზე და ფაქტობრივი ღონისძიებები, რომლებიც განხორციელდა ან იგეგმება სირთულეების დასაძლევად და შეფერხებების აღმოსაფხვრელად;

(გ) პროექტის დასრულების ვადებთან დაკავშირებული მოსალოდნელი ცვლილებები;

(დ) პროექტის ორგანიზაციის, პროექტის ჯგუფის, კონსულტანტების ან კონტრაქტორების საკვანძო თანამდებობებზე საკადრო ცვლილებები;

(ე) პროექტის ხარჯებზე გავლენის მქონე საკითხები;

(ვ) პროექტის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობაზე სავარაუდო გავლენის მქონე ნებისმიერი მოვლენა ან ქმედება.

(2) ფინანსური ანგარიშები, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი პროექტის ცალკეულ ნაწილებში გაწეული ხარჯები, სასესხო რესურსის ათვისება, რაც თვალნათლივ წარმოადგენს შემდეგს:

(ა) თავდაპირველი გათვლებით სავარაუდო ხარჯები;

(ბ) კორექტირებული სავარაუდო ხარჯები, ასეთის არსებობისას, შესაბამისი მიზეზების დაკონკრეტებით;

(გ) თავდაპირველი სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯები;

(დ) თავდაპირველი სავარაუდო ხარჯებისგან ფაქტობრივი ხარჯების განსხვავების მიზეზები;

(ე) წლის დარჩენილ კვარტლებში სავარაუდო ხარჯები.

(3) წინამდებარე ხელშეკრულებაში გათვალისწინებული თითოეულ დათქმასთან შესაბამისობის სტატუსის შესახებ მოკლე ინფორმაცია.

(გ) პროექტის ორგანიზაციასთან ან პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინციდენტის დადგომისას, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი საზიანო ეფექტი იქონიოს გარემოზე, ჯანმრთელობაზე ან უსაფრთხოებაზე, პროექტის ორგანიზაციამ მყისიერად უნდა შეატყობინოს ბანკს დამდგარი გარემოების შესახებ და დააკონკრეტოს პროექტის ორგანიზაციის მიერ განხორციელებული მაკორექტირებული ქმედების შესახებ ინფორმაცია. ყოველივე ზემოხსენებულის ზოგადი ხასიათის შეზღუდვის გარეშე.

(1) ინციდენტი ან უბედური შემთხვევა უკავშირდება პროექტს, თუ ის მოხდება პროექტისთვის გამოყენებულ ნებისმიერ ადგილზე/ობიექტზე ან, თუ ის გამოწვეულია იმ ობიექტების, აღჭურვილობის, სატრანსპორტო საშუალებების ან გემების მიერ, რომელიც გამოყენებულია პროექტისათვის ან დაკავშირებულია პროექტთან (მიუხედავად იმისა გამოიყენება, თუ არა პროექტის ადგილზე/ობიექტზე და გამოიყენება თუ არა უფლებამოსილი ან არაუფლებამოსილი პირების მიერ);

(2) მიიჩნევა, რომ ინციდენტს ან უბედურ შემთხვევას მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა აქვს გარემოზე ან საზოგადოებრივ ან შრომით ჯანმრთელობაზე ან უსაფრთხოებაზე, თუ:

(ა) ნებისმიერი მოქმედი კანონი მოითხოვს ასეთი ინციდენტის ან უბედური შემთხვევის შესახებ სამთავრობო ორგანოსთვის შეტყობინებას,

(ბ) ასეთი ინციდენტი ან უბედური შემთხვევა დასრულდა ფატალურად (მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ამგვარი პირი დასაქმებული პროექტის ორგანიზაციის მიერ)

(გ) ერთზე მეტმა ადამიანმა (მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ასეთი პირები პროექტის ორგანიზაციის მიერ დასაქმებულნი) მიიღო სერიოზული დაზიანება, რომელიც საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას, ან

(დ) ასეთი ინციდენტი ან უბედური შემთხვევა ცნობილი გახდა, ან სავარაუდოდ გახდება საჯარო მედიაში გაშუქების საშუალებით ან სხვაგვარად.

(დ) პროექტის ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ბანკს თანამშრომლების ან საზოგადოების წევრების მხრიდან რაიმე მნიშვნელოვანი პროტესტის ან შუამდგომლობის შესახებ, რომელიც მიმართულია ან დაკავშირებულია პროექტის ორგანიზაციასთან ან პროექტთან დაკავშირებით, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს არსებითი

უარყოფითი ზეგავლენა პროექტის ორგანიზაციაზე ან პროექტზე ან რომელიც ცნობილი გახდა ან სავარაუდოდ გახდება საჯარო მედიაში გაშუქების საშუალებით ან სხვაგვარად. ამგვარი შეტყობინებიდან ათი სამუშაო დღის განმავლობაში პროექტის ორგანიზაციამ უნდა წარადგინოს ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი ანგარიში, რომელიც განსაზღვრავს პროექტის ორგანიზაციის მიერ განხორციელებული გამოკვლევის შედეგებს და ნებისმიერ ნაბიჯს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული, პროტესტის ან შუამდგომლობის დროს წარმოშობილ საკითხებთან დაკავშირებით.

(ე) პროექტის ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბანკს პროექტის ან საქმიანობის ან ოპერირების სფეროს ან ხასიათის ნებისმიერი შემოთავაზებული ცვლილება და ნებისმიერი მოვლენა ან მდგომარეობა, რომელიც შესაძლოა არსებით გავლენას ახდენს პროექტის განხორციელებაზე ან პროექტის ორგანიზაციის საქმიანობაზე და ოპერაციებზე.

## მუხლი III – ფინანსური და საოპერაციო ვალდებულებები

### ნაწილი 3.01. ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშები

(ა) პროექტის ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს პროცედურები, აწარმოოს აღრიცხვა და ანგარიშები, რაც საერთაშორისოდ აღიარებული საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტების განუხრელი გამოყენებით ადეკვატურად ასახავს პროექტის ორგანიზაციის და მისი დაქვემდებარებული პირების საქმიანობას და ფინანსურ მდგომარეობას, რაც ასევე ახდენს პროექტის ფარგლებში მიღწეული წინსვლის მონიტორინგს და აღწერას (მათ შორის გაწეული ხარჯებისა და მისაღები სარგებლის შესახებ).

(ბ) პროექტის ორგანიზაციამ უნდა:

(1) ყოველ მომდევნო ფისკალურ წელს უზრუნველყოს ჩანაწერების, აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშების სრული პაკეტის (რომელშიც შედის ბალანსი, მოგება-ზარალის ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება და შენიშვნები) და აგრეთვე მისი შვილობილი ორგანიზაციების ჩანაწერების, აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების აუდიტი ბანკისთვის მისაღები დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ, საერთაშორისო აუდიტის პრინციპებისა და სტანდარტების შესაბამისად.

(2) ბანკს მიაწოდოს, როგორც კი მისთვის გახდება ხელმისაწვდომი, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ფისკალური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 9 თვის ვადაში:

(ა) საკუთარის ფინანსური ანგარიშგების დამოწმებული ასლები აუდიტის შედეგად შემოწმებულ ფისკალურ წელზე,

(ბ) აუდიტის ანგარიში განხორციელებული ამგვარი აუდიტორების მიერ და ისეთი დეტალებით, რომელიც ბანკის მიერ გონივრულად მოთხოვნილი შეიძლება იყოს;

(გ) პროექტის ორგანიზაციასა და თითოეულ შვილობილ კომპანიასა და აფილირებულ პირებს შორის ყველა ფინანსური ტრანზაქციის ანგარიში

და

(3) მიაწოდოს ბანკს ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ხსენებულ აღრიცხვიანობას, ანგარიშებს და ფინანსურ უწყისებს, მათ აუდიტორულ შემოწმებას, რაც ბანკმა შეიძლება დროდადრო გონივრულად მოითხოვოს.

იმ პირობით, რომ სანამ ბანკი სხვაგვარად არ შეატყობინებს პროექტის ორგანიზაციას, წარმოსადგენი დოკუმენტები შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ოპერირების ქვეყნის ოფიციალურ ენაზე „სტანდარტული ვადებისა და პირობების" ნაწილების 3.01(ბ)(2) და (3) საფუძველზე.

## ნაწილი 3.02. უარყოფითი ფინანსური დათქმები

(a) პროექტის ორგანიზაცია, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ბანკი სხვაგვარად დათანხმდება, არ მოიმოქმედებს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან არცერთს; ის ასევე ბანკს მიაწოდებს ნებისმიერი ინფორმაციას, რაც ბანკმა შეიძლება გონივრულად მოითხოვოს. პროექტის ორგანიზაციამ არ უნდა

(1) გააფორმოს რაიმე სახის შეთანხმება ან მექანიზმი, რომლითაც გარანტირებული ან რაიმე სახით ფინანსურად ან სხვაგვარად ვალდებული იქნება სრულად ან ნაწილობრივ საკუთარი სახელით, მათ შორის მისი რომელიმე დაქვემდებარებული ან ასოცირებული პირის სახელით, ან

(2) განახორციელოს რაიმე სახის ოპერაცია რომელიმე პირთან, იმათ გარდა, რომლებთანაც საქმიანობს ჩვეულ რეჟიმში, ჩვეული კომერციულ პირობებით და გაშლილი ხელის პრინციპით ან დაარსოს რაიმე სახის ექსკლუზიური ან ერთპიროვნული შესყიდვის ან გაყიდვების სააგენტო, განახორციელოს რაიმე სახის ოპერაცია სადაც პროექტის განმახორციელებელ პირს შეიძლება მოუხდეს უფრო მაღალი კომერციული ფასის გადახდა, მიიღოს ნაკლები საქონელი ან მომსახურება ვიდრე შესრულებული სამუშაოების შემდეგ გადაიხდიდა, ან

(3) დადოს პარტნიორობის, მოგების გაყოფის შესახებ ან როიალტის ხელშეკრულება ან სხვა მსგავსი შეთანხმებები, რომლის მიხედვითაც პროექტის ორგანიზაციის შემოსავლები ან მოგება არის ან შეიძლება იქნეს სხვა პირთან გაზიარებული;

(4) გაყიდოს, გადასცეს, იჯარით გასცეს ან სხვაგვარად გაასხვისოს თავისი აქტივები სრულად ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი (იქნება ეს ერთჯერადი ტრანზაქცია თუ ტრანზაქციების სერია, დაკავშირებული ან დაუკავშირებელი),

(5) განახორციელოს ან დაუშვას შერწყმა, კონსოლიდაცია ან რეორგანიზაცია.

(ბ) პროექტის ორგანიზაციამ არ უნდა განახორციელოს რომელიმე შემდეგი ქმედება იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ბანკს მინიმუმ 30 დღით ადრე აცნობებს; მან ბანკს უნდა მიაწოდოს ნებისმიერი ისეთი ინფორმაცია, რომელიც ამ უკანასკნელმა შეიძლება გონივრულად მოითხოვოს. პროექტის ორგანიზაციამ არ უნდა

(1) გააფორმოს მართვის კონტრაქტი ან მსგავსი მექანიზმი იქონიოს, რომლის ფარგლებშიც მისი საქმიანობა ან ფუნქციონირება იმართება ნებისმიერი სხვა პირის მიერ – მათ შორის ნებისმიერი დაქვემდებარებული ან ასოცირებული პირის ჩათვლით, ან

(2) შექმნას რაიმე სახის დაქვემდებარებული პირი, დაუშვას ან ნება დართოს სესხის ან ავანსის გაცემაზე, ასევე ანაბრის გაკეთებაზე (იმ ანაბრების გარდა, რაც სანდო ბანკებში განთავსდება საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში) სხვა პირებთან ან კაპიტალდაბანდება მოახდინოს მესამე მხარეში, მათ შორის დაქვემდებარებულ ან ასოცირებულ პირში, თუმცა იმ პირობით, რომ პროექტის ორგანიზაციამ თავისუფლად უნდა შეძლოს მოკლევადიან საინვესტიციო საბაზრო ფასიან ქაღალდებში კაპიტალდაბანდების განხორციელება მხოლოდ იმ მიზნით, რომ დროებით განათავსოს პროექტის კომპანიის თავისუფალი სახსრები.

## ნაწილი 3.03. სხვა ფინანსური დათქმები

ნაწილის 3.02 ზოგადი ხასიათის შეზღუდვის გარეშე, პროექტის ორგანიზაციამ ყოველთვის უნდა შეინარჩუნოს დადებითი საკუთარი კაპიტალი.

## ნაწილი 3.04. გირაოს აკრძალვა

(ა) პროექტის ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბანკი სხვაგვარად მიიჩნევს:

(1) თუ პროექტის ორგანიზაცია აღგენს ქონების დაკავებას, როგორც დავალიანების უზრუნველყოფას, ასეთი დაკავება თანაბრად უზრუნველყოფს სესხის ძირითადი თანხის, დარიცხული პროცენტის გადახდას და ამგვარი ზომასთან დაკავშირებით გაკეთდება დებულება ბანკისთვის დანახარჯის გარეშე; და

(2) თუ იქმნება კანონით დადგენილი ქონების დაკავების უფლება პროექტის ორგანიზაციის ნებისმიერ აქტივზე, როგორც სესხის უზრუნველყოფა, პროექტის ორგანიზაცია უსასყიდლოდ მიანიჭებს ბანკს დამაკმაყოფილებელ ეკვივალენტურ დაკავებას თანხის და პროცენტისა და სესხის დაფარვის უზრუნველსაყოფად;

(ბ) ზემოაღნიშნული ვალდებულებები არ ვრცელდება:

(1) დაკავების უფლება საკუთრებაზე, მისი შეძენისას, მხოლოდ როგორც ამ საკუთრების შესყიდვის ფასის გადახდის უზრუნველყოფა ან როგორც ამგვარი საკუთრების შეძენის დაფინანსების მიზნით გაწეული ვალის გადახდის უზრუნველყოფა; ან

(2) დაკავების უფლება, რომელიც წარმოიშობა ჩვეულებრივი საბანკო ოპერაციებისას და რომელიც უზრუნველყოფს ვალს, რომლის დაფარვის თარიღი ერთ წლამდე ვადას შეადგენს.

### ნაწილი 3.05. საქმიანობის წარმოება და ფუნქციონირება

იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ბანკი სხვაგვარ დათქმაზეა თანახმა, პროექტის ორგანიზაციამ უნდა:

(ა) აწარმოის საკუთარი საქმიანობა და ფუნქციონირება საერთაშორისოდ აღიარებული, გამართული ადმინისტრაციული, ფინანსური, საინჟინრო და სხვა შესაბამისი სტანდარტისა და პრაქტიკის საფუძველზე, ყველა მისი ძირითადი სამოქმედო პოლიტიკის ჯეროვანი გათვალისწინებით;

(ბ) დროულად განახორციელოს მის ძალაუფლებას მიკუთვნებული ყველა ქმედება, რათა შეინარჩუნოს იურიდიული ფორმა, აწარმოოს საქმიანობა და მიიღოს, შეინარჩუნოს და განიახლოს ყველა უფლება, ქონება, პრივილეგია, ფრანჩიზი, რაც აუცილებელია მისი საქმიანობისთვის, ისევე როგორც პროექტის განსახორციელებლად;

(გ) არ გაყიდოს, იჯარით გასცეს ან სხვაგვარად გაასხვისოს რომელიმე მისი მნიშვნელოვანი აქტივი, რაც საჭიროა საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის, რაც გასხვისების შემთხვევაში შეიძლება ეჭვის ქვეშ აყენებდეს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული რომელიმე ვალდებულების დამაკმაყოფილებელ განხორციელებას;

(დ) ოპერატიულად აცნობოს ბანკს ნებისმიერი ისეთი წინადადების შესახებ, რომელიც უკავშირდება მის წესდებაში ცვლილებების შეტანას, შეწყვეტას ან რომელიმე დათქმის გაუქმებას. ამგვარ შემთხვევებში მან ბანკს საკმარისი დრო უნდა მისცეს შენიშვნებისა და კომენტარებისთვის სანამ შემოთავაზებული ცვლილებები ძალაში შევა,

(ე) დაიქირაოს და იყოლიოს პასუხისმგებელი დამზღვევები ან იქონიოს ბანკისთვის მისაღები დაზღვევის სხვა მექანიზმები ისეთ რისკებზე, როგორიცაა ზარალი, ზიანი და პასუხისმგებლობა და დაზღვევა იმ მოცულობის უნდა იყოს, რომ შეესაბამებოდეს ქვეყანაში დანერგილ პრაქტიკას.

(ვ) ნებისმიერ დროს ამუშაოს და ქმედით მდგომარეობაში იქონიოს საწარმო, ობიექტები, აპარატურა და სხვა ქონება, რათა დროულად და საჭიროებისამებრ განახორციელოს ყველა საჭირო სარემონტო სამუშაოები და განახლება, რაც გამართული საქმიანობისა და ფუნქციონირების პრაქტიკის შესაბამისი იქნება.

## მუხლი IV – სხვადასხვა

### ნაწილი 4.01. ძალაში შესვლა, ამოქმედება (ეფექტურობა)

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შევა და ამოქმედდება სასესხო შეთანხმების ძალაში შესვლის დღეს, მასში შემავალი პირობების შესაბამისად.

### ნაწილი 4.02. გაუქმება და შეწყვეტა

სტანდარტული ვადებისა და პირობების VII თავში განსაზღვრული გაუქმების ან შეჩერების მიუხედავად, წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა გააგრძელებს მოქმედებას სრული ძალითა და ეფექტით.

### ნაწილი 4.02. შეტყობინებები

სტანდარტული ვადებისა და პირობების ნაწილის 10.01 მიზნებისთვის განისაზღვრება შემდეგი მისამართები:

პროექტის ორგანიზაციისთვის:

შპს „თბილსერვის ჯგუფი“
მისამართი:
კახეთის გზატკეცილი N 67
0182, თბილისი
საქართველო

ადრესატი: დირექტორი

ტელ: +995 32 2611837

ბანკისთვის:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
გაერთიანებული სამეფო, ლონდონი,
საფოსტო ინდექსი EC2A 2JN
იქსჩეინჯ მოედანი N1

ადრესატი: საოპერაციო ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ფაქსი: +44-20-7338-6100
ტელეფონი: +44-20-7338-6000
ელექტრონული ფოსტა: oad@ebrd.com

**ზემოხსენებულზე თანხმობის დასტურად** ხელშეკრულების მხარეები მათი ჯეროვნად უფლებამოსილი წარმომადგენლების საშუალებით ხელს აწერენ წინამდებარე ხელშეკრულებას სამ ეგზემპლარად (ორი ბანკისთვის, ერთი – პროექტის ორგანიზაციისათვის), თბილისში, საქართველოში ზემოთ მითითებულ დღესა და წელს.

**შპს თბილსერვის ჯგუფი**

ხელმომწერი: ______________________________

სახელი, გვარი:

თანამდებობა:

**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი**

ხელმომწერი: ______________________________

სახელი, გვარი:

თანამდებობა:

# განრიგი 1 – შესყიდვის გეგმა

| N o | აღწერა | კონტრაქტის სავარაუდო ღირებულება | EBRD-ის დაფინანსებით | სხვათა დაფინანსებით | | კონტრაქტის ტიპი | შესყიდვის მეთოდი | დროის განრიგი (თვე/ წელი) | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | დამფინანსებელი | რაოდენობა | | | ეტაპი 1 მოწვევა ტენდერზე | ეტაპი 1 შეფასება | ეტაპი 2 მოწვევა ტენდერზე | კონტრაქტის მინიჭება | კონტრაქტის დასრულება |
| | ნაწილი A – კაპიტალდაბანდება | | | | | | | | | | | |
| 1 | TSG-SW-01 – ნარჩენის შემკრები სატვირთო მანქანები | 3,974 | 3,364 | კლიენტი | 610 | საქონელი | ღია (ორი ეტაპი) | ოქტომბერი-21 | იანვარი-22 | მარტი-22 | აპრილი-22 | ოქტომბერი-22 |
| 2 | TSG-SW-02 – სპეციალური სატვირთო მანქანები და დანადგარები | 6,610 | 5,600 | კლიენტი | 1,010 | საქონელი | ღია (ორი ეტაპი) | ნოემბერი-21 | თებერვალი-22 | აპრილი-22 | მაისი-22 | ნოემბერი-22 |
| 3 | TSG-SW-03 – მარშრუტის მართვის პროგრამული უზრუნველყოფა და სატვირთო ავტომობილების პარკის მართვის სისტემა (მიწოდება, პერსონალიზაცია, ინსტალაცია და მხარდაჭერა საწყის ოპერაციებში) | 640 | 540 | კლიენტი | 100 | საკონსულტაციო | კონკურენტუნარიანი – ერთი ეტაპი | თებერვალი-22 | მაისი-22 | N/A | ივლისი-22 | ივლისი-23 |
| | სულ კაპიტალდაბანდება | 11,224 | 9,504 | | 1,720 | | | | | | | |
| | ნაწილი B ტექნიკური თანამშრომლობა | | | | | | | | | | | |
| 4 | კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამები | 470 | 400 | კლიენტი | 70 | საკონსულტაციო | კონკურენტუნარიანი – ერთი ეტაპი | ოქტომბერი-21 | იანვარი-22 | N/A | მარტი-22 | სექტემბერი-23 |
| | სულ ტექნიკური თანამშრომლობაTC | 470 | 400 | | 70 | | | | | | | |
| | ჯამი | 11,694 | 9,904 | | 1,790 | | | | | | | |

შენიშვნა: ბანკის ჯამური დაფინანსება არ მოიცავს 96,000 ევროს ოდენობის ადმინისტრირების საკომისიოს.

## განრიგი 2 - გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა

### ნაწილი I გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა – ახალი მუხლები

| № | ქმედება | გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (პასუხიმგებლობა და უპირატესობები) | მოთხოვნები (საკანონმდებლო, EBRD-ის PR. საუკეთესო გამოცდილება) | რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობები | გრაფიკი | მიზანი და შესრულების მოთხოვნა/კრიტერიუმი პროექტის წარმატებული განხორციელებისათვის |
|---|---|---|---|---|---|---|
| **PR 2 – შრომა და სამუშაო პირობები** | | | | | | |
| 2.7 | სამუშაო პირობების გაუმჯობესება, არა-თანამშრომელი დასაქმებულების სოციალური ქმედების მონიტორინგის გზით | შემცირებული რისკი, რომელიც დაკავშირებულია იძულებით შრომასთან, ბავშვთა შრომასთან, ასაკის, სქესისა და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციასთან. | EBRD PR 2 საუკეთესო პრაქტიკა | ადამიანური რესურსების სამსახური HR | მას შემდეგ, რაც ხელმისაწვდომი გახდება | მონიტორინგის სისტემა ჩამოყალიბებულია |
| 2.8 | ქალთა და მოწყვლადი ჯგუფების თანაბარი შესაძლებლობების გაუმჯობესება თანაბარი შესაძლებლობების სამოქმედო გეგმის შემუშავებით. (EOAP) | ყველა სამუშაო ჯგუფში დასაქმებულ ქალთა წილის გაზრდა, სამუშაო პირობების გაუმჯობესება | EBRD PR 2 საუკეთესო პრაქტიკა | ადამიანური რესურსების სამსახური HR | მას შემდეგ რაც ხელმისაწვდომი გახდება | EOAP შემუშავებული და განხორციელებულია |
| **PR 3 – რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია და კონტროლი** | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3.2 2 | უნდა დაინერგოს ფორმალური პროცედურები მწყობრიდან გამოსული მანქანების დემონტაჟის, სათადარიგო ნაწილების ხელახალი გამოყენების, გადამუშავებადი მასალების გაყიდვისა და უვარგისი და სახიფათო ნივთიერებების განადგურების მონიტორინგისთვის | დაბინძურების მინიმიზაცია ეკოლოგიური პასუხისმგებლობის შემცირება | EBRD PR3 საუკეთესო პრაქტიკა | შიდა რესურსები | ახალი მანქანების შესყიდვამდე | მონიტორინგის სისტემა ჩამოყალიბებულია |

ნაწილი II თავდაპირველი გარემოს დაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა, შემუშავებული თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის ფარგლებში

| № | ქმედება | გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (პასუხიმგებლობა და უპირატესობები) | მოთხოვნები (საკანონმდებლო, EBRD-ის PR. საუკეთესო გამოცდილება) | რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობები | გრაფიკი | მიზანი და შესრულების მოთხოვნა./კრიტერიუმი პროექტის წარმატებული განხორციელებისათვის |
|---|---|---|---|---|---|---|
| PR 1 – გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება – პრობლემების შეფასება და მართვა | | | | | | |
| 1.1 | გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების (EHSS) მართვის სისტემის შემუშავება და განხორციელება, რომელიც შესაბამება ისო 14001 და ისო 45001-ს. სიტემა უნდა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:<br>▪ გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა;<br>▪ სისტემის მიზნები და ამოცანები;<br>▪ საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნების განსაზღვრა;<br>▪ ქმედებების (ოპერირების) რისკების შეფასება (EHSS-ის ყველა საკითხისთვის);<br>▪ ოპერირების პროცედურებისა და კონტროლის დოკუმენტები რომლებიც მიმართულია უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად;<br>▪ მაღალი საფრთხის შემცველი სამუშაოების განხორციელებისთვის ნებართვების სისტემა;<br>▪ სწავლება და კომუნიკაცია;<br>▪ სამუშაოების განხორციელების შესაბამისობის მონიტორინგი;<br>▪ შიდა განხილვები (შეფასება) და აუდიტი;<br>▪ საწარმოს მენეჯმენტის მიერ სისტემის ეფექტურობის განხილვები. | გარემოსდაცვითი მართვის ოპტიმიზაცია ფორმალური (დოკუმენტირებული) სისტემის მეშვეობით | EBRD PR1<br>საუკეთესო პრაქტიკა | შიდა რესურსები, გარე კონსულტანტი | ბანკის ინვესტირებიდან 12 თვის განმავლობაში | EHSS მართვის სისტემის შემუშავება და დანერგვა, რომელიც შესაბამება ისო 14001 და ისო 45001 ან მათ ექვივალენტს<br><br>გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობები გადანაწილებულია და დოკუმენტირებულია<br><br>გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ყოველწლიური ანგარიშგების მიწოდება ბანკისათვის |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | არსებული უსაფრთხოების მართვის სიტემა ზოგიერთი ელემენტისთვის უკვე მოიცავს დეტალურ პროცედურებს. ზემოთ აღწერილი EHSS მართვის სისტემის შემუშავების პროცესი უნდა მოიცავდეს არსებულ სისტემასა და საერთაშორისო ISO 45001 სისტემის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობების (განსხვავებების) ანალიზს.<br><br>EHSS სისტემის შემუშავებისას, გარემოსდაცვითი მართვის პასუხიმგებლობები დოკუმენტალურად უნდა იქნას განაწილებული პერსონალისათვის. | | | | | |
| 1.2 | გარემოსდაცვითი, ჯანდაცვის, უსაფრთხოების და სოციალური პოლიტიკის ფორმალური (ოფიციალური) დოკუმენტის მომზადება. | გარემოსდაცვითი მართვის ოპტიმიზაცია ფორმალური (დოკუმენტირებული) სისტემის მეშვეობით | EBRD PR1 საუკეთესო პრაქტიკა | კომპანიის შიდა რესურსები | ბანკის ინვესტირებიდან 3 თვის განმავლობაში | საჯაროდ ხელმისაწვდომი (გამოქვეყნებული) გარემოსდაცვითი, ჯანდაცვის, უსაფრთხოების და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტი |
| 1.3 | ობიექტებზე მიმდინარე ყველა ოპერაციისათვის რისკების შეფასების განხორციელება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მოთხოვნების შესაბამისად. რისკების შეფასების შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად, უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს სამოქმედო გეგმა. საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს უსაფრთხოების ინსტრუქციების განახლება. | გარემოსდაცვითი მართვის ოპტიმიზაცია ფორმალური (დოკუმენტირებული) სისტემის მეშვეობით | EBRD PR1 საუკეთესო პრაქტიკა | კომპანიის შიდა რესურსები | ბანკის ინვესტირებიდან 12 თვის განმავლობაში | რისკების შეფასების დასრულებული დოკუმენტი |
| 1.4 | გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინება აუდიტსა და ინსპექტირების (ფორმალურ) დოკუმენტირებულ პროგრამებში.<br><br>უზრუნველყოფილი უნდა იქნას შესწორებებისა და მათი დანერგვის ქმედებების დოკუმენტირება. | EHSS მართვის ოპტიმიზაცია ფორმალური (დოკუმენტირებული) სისტემის მეშვეობით | EBRD PR1 საუკეთესო პრაქტიკა | კომპანიის შიდა რესურსები | გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და უსაფრთოსხების სისტემის შემუშავების ფარგლებში | აუდიტის შედეგების დოკუმენტები, განხორციელების გრაფიკები და აუდიტის ანგარიშები |
| 1.5 | უნდა შემუშავდეს გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ამოცანების მიზნების სია ინდიკატორებით. აღნიშნული ინდიკატორების მონიტორინგი უნდა მიმდინარეობდეს მუდმივ (საოპერაციო) რეჟიმში შედეგების დოკუმენტირებით. | EHSS მართვის ოპტიმიზაცია ფორმალური (დოკუმენტირებული) სისტემის მეშვეობით | EBRD PR1 საუკეთესო პრაქტიკა | კომპანიის შიდა რესურსები | გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და უსაფრთოსხების სისტემის შემუშავების ფარგლებში | შემუშავებულია EHSS მიზნები ინდიკატორებით<br><br>არსებობს შეფასების, განხილვის და განახლების დოკუმენტები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.6 | მიმდინარე ქმედებების გეგმის განხორციელების ანგარიშის მომზადება და წარდგენა. ანგარიში უნდა მოიცავდეს EHSS ეფექტურობის (შესაბამისობის) შეფასებას და ინფორმაციას საჩივრებსა და მათზე რეაგირების შესახებ | ESAP-ის განხორციელების მონიტორინგი | EBRD ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა, და ოპერირების ეფექტურობის მოთხოვნები (PR-ები) | კომპანიის შიდა რესურსები | ყოველწლიური ანგარიშგება | ყოველწლიური ანგარიშგება ESAP-ის, EHSS-ის და საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმების განხორციელების პროგრესის შესახებ |
| PR 2 – დასაქმება და სამუშაო პირობები | | | | | | |
| 2.1 | ადამიანური რესურსების მართვის (HR) შიდა რეგულაციების / პროცედურების გაუმჯობესება და გაძლიერება დისკრიმინაციის აკრძალვის, თანასწორი შესაძლებლობის, მინიმალური ასაკის, ლეკრუტის შესახებ პუნქტების ჩამატების საშუალებით. | იძულებით და ბავშვთა შრომასთან, ასევე ასაკის, სქესის და ეთნიკური წარმომავლობით დისკრიმინაციასთან დაკავშირებული შემცირებული რისკები | PR2 | ადამიანური რესურსების სამსახური, HR | ბანკის ინვესტირებიდან 6 თვის განმავლობაში | ადამიანური რესურსების გაუმჯობესებული / განახლებული პროცედურები |
| 2.2 | თანაბარი შესაძლებლობების, ეთნიკური და სოციალურ-კულტურული მრავალფეროვნების პოლიტიკის დოკუმენტის მომზადება და დანერგვა | დისკრიმინაციასთან და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული შემცირებული რისკები | PR2 | ადამიანური რესურსების სამსახური, HR | ბანკის ინვესტირებიდან 3 თვის განმავლობაში | თანასწორუფლებიანობის ეთნიკური და სოციალურ-კულტურული მრავალფეროვნების პოლიტიკის დოკუმენტი |
| 2.3 | მომწოდებლების მართვის და მონიტორინგის გეგმის მომზადება, რომელიც უზრუნველყოფს რომ მომწოდებლების ოპერირება შეესაბამება შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს, როგორიცაა მინიმალური ასაკი და იძულებითი შრომა. | იძულებით და ბავშვთა შრომასთან დაკავშირებული შემცირებული რისკები | PR2 | ადამიანური რესურსების სამსახური, HR | ბანკის ინვესტირებიდან 12 თვის განმავლობაში | მომწოდებლების ჯაჭვის მართვის გეგმა |
| 2.4 | თანამშრომელთა საჩივრების მართვის დოკუმენტირებული პროცედურების მომზადება. | თანამშრომელთა საჩივრებთან დაკავშირებული შემცირებული რისკები | PR2 | ადამიანური რესურსების სამსაპური, HR | ბანკის ინვესტირებიდან 6 თვის განმავლობაში | თანამშრომელთა საჩივრების განხილვის დოკუმენტი |
| 2.5 | გლდანის ნაგავსაყრელზე გაუმჯობესებული ჰიგიენური სისტემის და დასასვენებელი ზონის მოწყობა, ტუალეტის, დასასვენებელი ოთახის, სპეცტანსაცმლის და პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობის რეცხვისა და შენახვის ადგილის ჩათვლით. | თანამშრომელთა ჯანდაცვასთან დაკავშირებული შემცირებული რისკები | EBRD PR1 და PR2 | კომპანიის მენეჯმენტი | ბანკის ინვესტირებიდან 2 წლის განმავლობაში | ობიექტზე გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურის არსებობა |
| 2.6 | მართვის შემდეგი დოკუმენტირებული პროცესის შემუშავება და დანერგვა: | კონტრაქტორების შესაბამისობა კომპანიის | EBRD PR1 და PR2 | ადამიანური რესურსების სამსახური, HR | ბანკის ინვესტირებიდან 12 | სატენდერო პროცედურების განახლებული ვერსია |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | • პოტენციური კონტრაქტორების EHSS შესაბამისობის შეფასება შერჩევის პროცესში;<br>• კონტრაქტორების ოპერირებისას EHSS მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი – მაგ. პერიოდული აუდიტები, შესაბამისობის ძირითადი ინდიკატორების დადგენა, შეფასება, მონიტორინგი (ინციდენტების სიხშირე). | კორპორატიული პოლიტიკის მოთხოვნებთან | | | თვის განმავლობაში კონტრაქტორების ინსპექტირება მუშაობის დროს | კონტრაქტორების შემოწმების დოკუმენტაცია |
| 2.7 | თანამშრომელთა ანაზღაურების, დისციპლინარული პროცედურების და ზეგანაკვეთური სამუშაო საათების გადახედვა თანამშრომელთა მოსაზრებებისა და საჩივრების გათვალისწინების მიზნით. | პასუხისმგებლობის, თანამშრომელთა მხრიდან გაფიცვებისა და უკმაყოფილების შემცირებული რისკები | EBRD PR1 და PR2 | ადამიანური რესურსების სამსახური, HR | ბანკის ინვესტირებიდან 6 თვის განმავლობაში კონტრაქტორების ინსპექტირება მუშაობის დროს | ადამიანური რესურსების მართვისა და დასაქმების გაუმჯობესებული პირობები |
| **PR 3 – რესურსების ეფექტურობა, დაბინძურების შემცირება და კონტროლი** | | | | | | |
| 3.1 | ნაგავსაყრელების ევრო დირექტივაში განმარტებული მოთხოვნების შესაბამისი ოპერირების დოკუმენტირებული პროცედურების მომზადება და დანერგვა დიდი ლილოსა და გლდანის ნაგავსაყრელებისთვის, რომელიც უნდა მოიცავდეს მინიმუმ შემდეგს:<br>• ნარჩენების შემადგენლობისა და მისაღებობის პროცედურა;<br>• ნარჩენების განთავსება და გადაფარვა;<br>• ნაკური წყლებისა და ნალექების ნაკადების მართვა;<br>• ნაგავსაყრელის აირების შეგროვება და მართვა;<br>• მიწისქვეშა წყლების მონიტორინგი (ჭაბურღილები);<br>• თანამშრომელთა სწავლება და კომპეტენციის ამაღლება;<br>• სუნის მენეჯმენტი;<br>• ხმაურისა და ვიბრაციის მართვა;<br>• დანაგვიანების მართვა;<br>• ფრინველებისა და მწერების მართვა ფრინველების კონტროლის განახლებული სისტემის ჩათვლით; | პროექტის აქტივობების გარემოზე ზემოქმედების შემცირება და მუდმივი გაუმჯობესების ხელშეწყობა | EBRD PR3 და ნაგავსაყრელების ევრო დირექტივა | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | რაც შეიძლება სწრაფად პრაქტიკული შესაძლებლობის გათვალისწინებით, ბანკის ინვესტირებიდან 12 თვის განმავლობაში | ოპერირების პროცედურების დოკუმენტები, თანამშრომელთა სწავლების დოკუმენტები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | • ხანძრების თავიდან აცილება – სახანძრო უსაფრთხოება;<br>• მცენარეულობის კონტროლი;<br>• ავარიების მართვის გეგმა – უნდა მოიცავდეს ავარიებს და შესაძლო შედეგებს, როგორიცაა ხანძრები, წყალდიდობა, სტაბილურობის დარღვევა, სეისმური რისკებს და სხვა. იმ მიზნით, რომ შემცირდეს მოსალოდნელი ზემოქმედება სენსიტიურ რეცეპტორებზე მათ შორის მიწისქვეშა და ზედაპირულ წყლებზე, ატმოსფერულ ჰაერზე, ჯანმრთელობაზე და სხვა;<br>• კრიტიკული ნაგებობებისა და აღჭურვილობის მართვა და ტექნიკური მომსახურების გაწევა;<br>• გარემოსდაცვითი მონიტორინგი და ანგარიშგება. | | | | | |
| 3.2 | ევროგაერთიანების საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის (BAT) დოკუმენტის „ევროგაერთიანების ნარჩენების დამუშავება" BREF[1]-ში ასახული მოთხოვნების შესაბამისი ოპერირების პროცედურების მომზადება და დანერგვა ბელიაშვილის ნარჩენების გადამტვირთ სადგურზე. დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:<br>• ნარჩენების დახასიათება, წინასწარი მიღების და მიღების პროცედურა;<br>• ნარჩენების მიკვლევადობის სისტემა და ინვენტარიზაცია;<br>• ნარჩენების სეგრეგაციისა და სოტირების პროცედურა; | პროექტის აქტივობების გარემოზე ზემოქმედების შემცირება და მუდმივი გაუმჯობესების ხელშეწყობა | EBRD PR3 და ნაგავსაყრელების ევრო დირექტივა, BREF და დაკავშირებული სახელმძღვანელოები | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | რაც შეიძლება სწრაფად პრაქტიკული შესაძლებლობის გათვალისწინებით, ბანკის ინვესტირებიდან 12 თვის განმავლობაში | ოპერირების პროცედურების დოკუმენტები, თანამშრომელთა სწავლების დოკუმენტები |

[1] დაბინძურების თავიდან აცილების და კონტროლის ინტეგრირებული მართვა. ნარჩენების დამუშავების ინდუსტრიის საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის საცნობარო დოკუმენტი, 2006 წლის აგვისტო. აღნიშნული BREF განახლების პროცესშია და გამოქვეყნებულია შემდეგი წინასწარი ვერსია: Best Available Techniques (BAT) Reference Document for Waste Treatment, final draft, October 2017. პროექტი უნდა ითვალისწინებდეს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნოლოგიას, რომელიც გამოყენებული იყო პროექტირების დროს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | • ნარჩენების შენახვის ადგილები, შესანახი მოცულობები და უსაფრთხო შენახვის ოპერირება;<br>• ნარჩენებთან მუშაობის და გადაშიდვის პროცესში მხოლოდ კომპეტენტური თანამშრომლების მონაწილეობა;<br>• დაღვრების თავიდან აცილების, დაფიქსირების და დაღვრების შემცირების ქმედებები;<br>• სუნის მართვა;<br>• ხმაურისა და ვიბრაციის მართვა;<br>• ავარიების მართვის გეგმა რომელიც ითვალისწინებს ავარიებს და მის შესაძლო შედეგებს ხანძარი, წყალდიდობა, სტაბილურობის დარღვევა და სხვა რათა შერბილდეს ზემოქმედება პოტენციურ სენსიტიურ რეცეპტორებზე მათ შორის მიწისქვეშა და ზედაპირულ წყლებზე, ატმოსფერულ ჰაერზე, ჯანმრთელობაზე და სხვა;<br>• ობიექტზე მიმდინარე პროცესების ჩაწერის სისტემა მაგ: ობიექტის ინსპექტირება, საჩივრები, ინციდენტები და ავარიები და სხვა;<br>• რესურსების ეფექტური გამოყენება (მაგ: წყლის და ენერგიის მოხმარება). | | | | | |
| 3.3 | თბილსერვის ჯგუფმა უნდა მოამზადოს ქმედებების გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს დიდი ლილოს ნაგავსაყრელის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ყველა მოთხოვნას, ასევე გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ იდენტიფიცირებულ ყველა შეუსაბამობას. გეგმაში შეტანილი უნდა იქნას ყველა ქმედება რომელიც საჭიროა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ასევე მითითებული უნდა იყოს ქმედებები, რომელიც მიღწევადი და გაზომვადია. | პროექტის აქტივობების გარემოზე ზემოქმედების შემცირება გარემოსდაცვითი პასუხიმგებლობების შესაბამისად | EBRD PR3 და დიდი ლილოს ნაგავსაყრელის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | რაც შეიძლება სწრაფად პრაქტიკული შესაძლებლობის გათვალისწინებით, ბანკის ინვესტირებიდან 6 თვის განმავლობაში | გეგმა შემუშავებულია<br><br>მუდმივი განახლება და ქმედებების მონიტორინგი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გეგმაში შეტანილი უნდა იქნას თითოეული ქმედების შესრულების ვადა. აღნიშნული ქმედებები მოიცავს:<br>• ნაგავსაყრელის უჯრედების ექსპლუატაციას, შესაბამისი შევსების მეთოდების გამოყენებით;<br>• მოთხოვნებს უჯრედის ზედაპირის რეკულტივაციისთვის, უჯრედის ნაწილების დახურვის პარალელურად;<br>• ნაგავსაყრელის გაზის შეგროვებას და უტილიზაციას;<br>• ნიადაგის ნაყოფიერი ფენის უსაფრთხო დასაწყობებას;<br>• სპეციალური ადგილის გამოყოფას ბიო-ქიმიური და სხვა სახიფათო ნარჩენების დროებითი საწყობის მოსაწყობად;<br>• ნაგავსაყრელის ოპერირებას გეოდინამიკური და სეისმური რისკების გათვალისწინებით;<br>• რისკების მართვის გეგმის შემუშავებას ჩიტებისთვის, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს და მართვის მოთხოვნების დადგენას;<br>• ნაჟური წყლების გაწმენდის სისტემის გაუმჯობესებას;<br>• ბიო-გაზის მართვის სისტემის გაუმჯობესებას;<br>• წყლისა და ნიადაგის მონიტორინგის მოთხოვნების შემუშავებას;<br>• ხანძარსაშიში უბნების შესახებ დოკუმენტების წარდგენას;<br>• არასასიამოვნო სუნის საკითხს ცხოველების ნარჩენების ორმოდან. | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3.4 | თბილსერვის ჯგუფმა უნდა მოამზადოს ქმედებების გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს გლდანის ინერტული მასალების ნაგავსაყრელისთვის გარემოს ეროვნული სააგენტოს შეფასებისა და რეკომენდაციების დასკვნის ყველა მოთხოვნას. გეგმაში შეტანილი უნდა იქნას ყველა ქმედება რომელიც საჭიროა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და მითითებული უნდა იყოს ქმედებები, რომელიც მიღწევადი და გაზომვადია. ასევე გეგმაში შეტანილი უნდა იქნას თითოეული ქმედების შესრულების ვადა. | პროექტის აქტივობების გარემოზე ზემოქმედების შემცირება გარემოსდაცვითი პასუხიმგებლობების შესაბამისად | EBRD PR3 და გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნა გლდანის ნაგავსაყრელისთვის | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | რაც შეიძლება სწრაფად პრაქტიკული შესაძლებლობის გათვალისწინებით, ბანკის ინვესტირებიდან 12 თვის განმავლობაში | გეგმა შემუშავებულია<br><br>მუდმივი განახლება და ქმედებების მონიტორინგი |
| 3.5 | დიდი ლილოს ნაგავსაყრელზე უნდა ჩატარდეს მონიტორინგის პროცესის შემოწმება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ეკოლოგიური ექსპერტიზით განსაზღვრული ყველა მოთხოვნის შესრულება და მონიტორინგის მეთოდოლოგიების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან. | პროექტის აქტივობების გარემოზე ზემოქმედების შემცირება გარემოსდაცვითი პასუხიმგებლობების შესაბამისად | EBRD PR3 და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა დიდი ლილოს ნაგავსაყრელისთვის | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | რაც შეიძლება სწრაფად პრაქტიკული შესაძლებლობის გათვალისწინებით, ბანკის ინვესტირებიდან 12 თვის განმავლობაში | ჩატარებული მიმოხილვა გადახედილი და განხორციელებული მონიტორინგის პროცესები |
| 3.6 | კვალიფიციური ექსპერტის მიერ უნდა შემუშავდეს დიდი ლილოს ნაგავსაყრელის ნაჟური წყლების გამწმენდი ახალი ნაგებობის პროექტირებისა და მშენებლობის პოტენციური ვარიანტების დეტალური ტექნიკური კვლევა. კვლევა უნდა მოიცავდეს ნაგავსაყრელის სტაბილურობაზე ზემოქმედებების შეფასებას, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ნაჟური წყლების დონეების შემცირებით. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემარბილებელი ღონისძიებები.<br><br>საუკეთესო პრაქტიკიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია მიმოხილულ იქნეს ნაჟური წყლების გამწმენდის ვარიანტები საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების (BAT) გათვალისწინებით. | პროექტის აქტივობების გარემოზე ზემოქმედების შემცირება გარემოსდაცვითი პასუხიმგებლობების შესაბამისად | EBRD PR3 და ნაგავსაყრელების ევრო დირექტივა და ლაკავშირებული სახელმძღვანელოები | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | რაც შეიძლება სწრაფად პრაქტიკული შესაძლებლობის გათვალისწინებით, ბანკის ინვესტირებიდან 12 თვის განმავლობაში | ტექნიკური ანგარიში და განხორციელების გეგმა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3.7 | რეკომენდირებულია ნაგავსაყრელის არსებულ გაზის ქსელზე ჩატარდეს ემისიების სრულმასშტაბიანი კვლევა, რომელიც გაზ-შემკრები სისტემის ახალი ქსელის და ჩირაღდნის მოსალოდნელი ეფექტურობის შესახებ დეტალურ ინფორმაციასთან ერთად ხელს შეუწყობს სათბურის გაზების (GHG) უფრო ზუსტი შეფასების განხორციელებას. | დაბინძურების მინიმუმამდე შემცირება<br><br>შემარბილებელი ღონისძიებები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების შესაბამისად | EBRD PR3 და<br><br>საუკეთესო გამოცდილება | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | რაც შეიძლება სწრაფად პრაქტიკული შესაძლებლობის გათვალისწინებით, ბანკის ინვესტირებიდან 6 თვის განმავლობაში | მონიტორინგის შედეგები |
| 3.8 | ახალი გაზ-შემკრები სისტემის პროექტი და სამონტაჟო სამუშაოები უნდა დასრულდეს. იმ ადგილებში, სადაც უკვე არსებობს ჭები, მაგრამ ვერ ხერხდება მათი დაკავშირება გაზ-შემკრებ სისტემასთან უნდა შეფასდეს და შეძლებისდაგვარად შემცირდეს.<br><br>კო-გენერირების ქარხნის მშენებლობისთვის უნდა ჩატარდეს მიზანშეწონილობის დეტალური კვლევა. | დაბინძურების მინიმუმამდე შემცირება<br><br>შემარბილებელი ღონისძიებები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების შესაბამისად | EBRD PR3 და<br><br>საუკეთესო გამოცდილება | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | Q-4, 2019 | გაზ-შემკრები სისტემის პროექტი<br><br>კო-გენერირების პოტენციალის შეფასება<br><br>განხორციელების გეგმა |
| 3.9 | დიდი ლილოს ნაგავსაყრელის ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობისთვის საჭიროა ჩატარდეს შეფასება/მიმოხილვა ტექნიკოსი სპეციალისტის მიერ. აღნიშნული ნაგებობა ან უნდა განახლდეს ან შეიცვალოს, რათა შესაბამისობაში მოვიდეს ნაგავსაყრელზე არსებულ პირობებთან. შეფასება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, იმის შესახებ გამოიყენება თუ არა სადეზინფექციო საშუალებები საბურავების რეცხვის დროს და მოახდენს თუ არა ეს გავლენას გამწმენდი ნაგებობის ეფექტურობაზე. | დაბინძურების მინიმუმამდე შემცირება<br><br>შემარბილებელი ღონისძიებები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების შესაბამისად | EBRD PR3 და<br><br>საუკეთესო გამოცდილება | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | Q-4, 2019 | ჩატარებული მიმოხილვა<br><br>განხორციელების გეგმა |
| 3.10 | ბელიაშვილის გადამტვირთ სადგურზე და საწარმოო ეზოებში უნდა ჩატარდეს ჩამდინარე წყლის ჩაშვების მონიტორინგი. შედეგები უნდა შედარდეს ჩამდინარე წყლების ჩაშვების ეროვნულ სტანდარტებთან.<br><br>ბელიაშვილის გადამტვირთ სადგურსა და საწარმოო ეზოებში, ტექნიკოსი სპეციალისტის მიერ უნდა განხორციელდეს ჩამდინარე წყლის სეპარატორების შეფასება და ნაგებობა ან უნდა განახლდეს ან შეიცვალოს, რათა შესაბამისობაში მოვიდეს არსებულ პირობებთან. შეფასება უნდა მოიცავდეს | დაბინძურების მინიმუმამდე შემცირება<br><br>შემარბილებელი ღონისძიებები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების შესაბამისად | EBRD PR3 და<br><br>საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნები ჩამდინარე წყლების ჩაშვების შესახებ | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | Q-4, 2019 | მონიტორინგის შედეგები<br><br>ჩატარებული მიმოხილვა<br><br>განხორციელების გეგმა<br><br>ტექნიკურ-პროფილაქტიკური შემოწმება (ეფექტურობის შესაფასებლად) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ინფორმაციას, იმის შესახებ გამოიყენება თუ არა სადეზინფექციო საშუალებები საბურავების რეცხვის დროს და მოახდენს თუ არა ეს გავლენას სეპარატორების ეფექტურობაზე.<br><br>ბელიაშვილის გადამტვირთ სადგურსა და საწარმოო ეზოებში, უნდა განხორციელდეს გეგმიური ტექნიკურ-პროფილაქტიკური შემოწმება (ეფექტურობის შესაფასებლად), მათ შორის სეპარატორების ინსპექტირება და გაწმენდა. | | | | | |
| 3.11 | საუკეთესო პრაქტიკით, ბელიაშვილზე მეორე გადამტვირთი სადგურის პროექტირება უნდა განხორციელდეს ნარჩენების გადამუშავების ინდუსტრიაში საუკეთესო ტექნოლოგიების (BREF) მოთხოვნების შესაბამისად. ობიექტის ოპერირების პროცედურები უნდა განხორციელდეს BREF-ის და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. პროცედურებმა ასევე უნდა მოიცვას ტექნიკის მოძრაობის მართვის სისტემაც.<br><br>გადამტვირთ სადგურზე ნარჩენების კომპაქტორის ინსტალაციისთვის უნდა განხორციელდეს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, რათა შეფასდეს პოტენციური ეფექტურობა, რომელიც გამოიხატება ავტომობილების ნარჩენებით მაქსიმალურად დატვირთვაში, რაც თავის მხრივ შეამცირებს რეისების რიცხვს.<br><br>ამასთან, უნდა განხორციელდეს არსებულ გადამტვირთ სადგურში კომპაქტორის ინსტალაციის ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება. | დაბინძურების მინიმუმამდე შემცირება<br><br>შემარბილებელი ღონისძიებები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების შესაბამისად | EBRD PR3<br><br>ნარჩენების გადამუშავების ინდუსტრიაში საუკეთესო ტექნოლოგიები (BREF) და საქართველოს კანონმდებლობა | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | Q-4, 2019 | ჩატარებული განხილვა<br><br>განხორციელების გეგმა<br><br>ტრასპორტის მოძრაობის მართვის სისტემა |
| 3.12 | ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ნარჩენების შუალედური საფარის მოთხოვნები უნდა იქნეს განხილული რაიმე სახის ცვლილებების საჭიროების შესაფასებლად. ცვლილების საჭიროების შემთხვევაში, თბილსერვის ჯგუფმა უნდა მიმართოს მარეგულირებელს ცვლილების შესახებ და განმარტოს აღნიშნულის მიზანშეწონილობა. | დაბინძურების მინიმუმამდე შემცირება<br><br>შემარბილებელი ღონისძიებები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების შესაბამისად | EBRD PR3<br>ლილოს ნაგავსაყრელის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | Q-4, 2019 | ჩატარებული განხილვა<br><br>განხორციელების გეგმა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3.13 | თბილსერვის ჯგუფმა უნდა შეცვალოს პროცედურები დიდი ლილოს ნაგავსაყრელზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ნარჩენების ავტომობილების მასის გაზომვა შესვლისას და ასევე გასვლისას. აღნიშნულით მოხდება მიღებული ნარჩენების უფრო ზუსტი რაოდენობის ჩანაწერების გაკეთება. | რესურსების ეფექტურობა | EBRD PR3 საუკეთესო პრაქტიკა | კომპანიის შიდა რესურსები | ბ Q-4, 2019 | შემუშავებული პროცედურები<br><br>ნარჩენების ჩანაწერები |
| 3.1 4 | თბილსერვის ჯგუფმა უნდა დაიქირაოს სპეციალისტი ტექნიკური კვლევის ჩასატარებლად, რათა, შემცირდეს ნაგავსაყრელზე ფერდობების ჩამოშლის რისკი და უზრუნველყოს პროცედურების არსებობა ადგილზე ფერდობების მომავალი ჩამოშლების ასარიდებლად.<br><br>ჩატარდეს უფრო ფართო სტაბილიზაციის კვლევა ორივე ნაგავსაყრელზე, რომელიც ასევე გაითვალისწინებს პოტენციურ სეისმურ საშიშროებებს. | დაბინძურების მინიმუმამდე შემცირება<br><br>შემარბილებელი ღონისძიებები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების შესაბამისად | EBRD PR3 საუკეთესო პრაქტიკა | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | Q-4, 2019 | ჩატარებული განხილვა<br><br>განხორციელების გეგმა |
| 3.1 5 | თბილსერვის ჯგუფმა უნდა გამოიკვლიოს ნარჩენი საბურავების განთავსების ან/და დამუშავების ვარიანტები ევროპის კანონმდებლობის და ნარჩენების მართვის იერარქიის შესაბამისად. ამავდროულად, საბურავების აკუმულირების ადგილას ხანძრის გაჩენის და მისი მართვის პროცედურა უნდა დაემატოს ობიექტის საგანგებო სიტუაციების პროცედურებს. | დაბინძურების მინიმუმამდე შემცირება<br><br>შემარბილებელი ღონისძიებები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების შესაბამისად | EBRD PR3 ნაგავსაყრელების ევრო დირექტივა და ნარჩენების ჩარჩო დირექტივა | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | Q-4, 2019 | ჩატარებული განხილვა<br><br>იდენტიფიცირებული განთავსების ადგილები |
| 3.1 6 | დიდი ლილოს ნაგავსაყრელზე ცხოველთა განთავსების ორმო უნდა დაიხუროს და მოიძებნოს სხვა ალტერნატიული განთავსების ადგილი. დახურვა და დახურვამდე ოპერირება უნდა განხორციელდეს ცხოველთა ნარჩენების შესახებ ევრო რეგულაციის შესაბამისად. | დაბინძურების მინიმუმამდე შემცირება<br><br>შემარბილებელი ღონისძიებები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების შესაბამისად | EBRD PR3 ცხოველთა ნარჩენების შესახებ ევრო რეგულაციები | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | Q-4, 2019 | ჩატარებული განხილვა<br><br>ორმოა დახურვის შემუშავებული გეგმა<br><br>ორმოს დახურვის ჩანაწერები |
| 3.1 7 | გლდანის ნაგავსაყრელის დახურვის და რეაბილიტაციის გეგმა უნდა შესრულდეს. აღნიშნული უნდა განხორციელდეს ნაგავსაყრელის დირექტივის დახურვისა და შემდეგ მოვლის პუნქტების შესაბამისად.<br>შეფასება ასევე უნდა მოიცავდეს ალტერნატიული ობიექტების, ნაგავსაყრელის დირექტივის | დაბინძურების მინიმუმამდე შემცირება<br><br>შემარბილებელი ღონისძიებები გარემოსდაცვითი | EBRD PR3 ევრო დირექტივა ნაგავსაყრელის შესახებ | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | რაც შეიძლება სწრაფად პრაქტიკული შესაძლებლობის გათვალისწინებით, ბანკის ინვესტირებიდან 12 | ჩატარებული განხილვა<br><br>ობიექტის კვლევის ჩანაწერები<br><br>შემუშავებული დახურვის გეგმა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შესაბამისად დაპროექტებისა და ოპერირების პოტენციალის შეფასებას.<br><br>გლდანის ობიექტის დახურვის დაგეგმარებისას, უნდა ჩატარდეს ინტრუზიული კვლევა, რათა დადგინდეს ნიადაგის/მიწისქვეშა წყლის დაბინძურების დონე და გეოლოგიური პირობები ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე და აღდგენისა და შეკავების ღონისძიებები გათვალისწინებულ იქნეს დახურვისა და დახურვის შემდგომ პროცესებში. | პასუხისმგებლობების შესაბამისად | | | თვის განმავლობაში | შენახული დახურვის ჩანაწერები |
| 3.18 | უნდა განხორციელდეს ყველა იმ დანადგარის ინვენტარიზაცია, რომელიც შეიცავს გამყინავ საშუალებებს. თითოეულ ობიექტზე დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი გამყინავი საშუალებების ტიპები, რაოდენობა და გამოყენების სიხშირე. თუ აღმოჩნდა, რომ გამოყენებაშია ისეთი ქლოროფლორკარბონები (CFC), როგორიცაა R12 ან ჰალონები, ისინი უნდა ჩანაცვლდეს. ასევე უნდა დადგინდეს თუ ხდება ჰიდროქლორილჰიდროკორბონების (HCFC), როგორიცაა R22 გამოყენება და მისი არსებობის შემთხვევაში უნდა მოხდეს ეტაპობრივი ჩანაცვლება ისეთი ალტერნატიული გამყინავი საშუალებებით, რომლებსაც გააჩნიათ ოზონის შრის დაშლის დაბალი პოტენციალი. | დაბინძურების მინიმუმამდე შემცირება | EBRD PR3 და ეერო რეგულაციები ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ | კომპანიის შიდა რესურსები | Q-4, 2020 | ეტაპობრივი ჩანაცვლების შემუშავებული და განხორციელებული პროგრამა<br><br>შენახული ჩანაწერები |
| 3.19 | ტრანსფორმატორებში ლადგენილ უნდა იქნეს პოლიქლორირებული ბიფენილების (PCB) შემცველობა და უნდა განხორციელდეს PCB-ს შემცველი ნებისმიერი ზეთის შესაბამისი მართვა. | დაბინძურების მინიმუმამდე შემცირება<br><br>შემარბილებელი ღონისძიებები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების შესაბამისად | EBRD PR3 და საუკეთესო გამოცდილება | კომპანიის შიდა რესურსები | ბანკის ინვესტირებიდან 12 თვის განმავლობაში ნებისმიერი ტრანსფორმატორის განთავსება/გამოცელამდე | ზეთების ანალიზის შედეგები შენახული |
| 3.20 | შეძენილ უნდა იქნეს რადიაციის გაუმჯობესებული დეტექტორები, შემუშავდეს და განხორციელდეს მათი გეგმიური კალიბრაციისა და მოვლის სამუშაოების პროგრამა. შესაბამისი უწყების მიერ | დაბინძურების მინიმუმამდე დაყვანა<br><br>შემარბილებელი ღონისძიებები | EBRD PR3<br><br>დიდი ლილოს ნაგავსაყრელის ეკოლოგიური | კომპანიის შიდა რესურსები | Q-4, 2019 | დამონტაჟებული რან დეტექტორები<br><br>შემუშავებული და განხორციელებული რან |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დროში გაგრძელებული შეგროვების პროცესში გამოვლენილი ყველა რადიოაქტიური ნივთიერებების (რან) დროებით შესანახად უნდა მოეწყოს სათანადოდ დაპროექტებული ადგილი. უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს რან გატანისა და განთავსების დასაბუთებული პროცედურები. | გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების შესაბამისად | ექსპერტიზის დასკვნა | | | გატანისა და განთავსების დასაბუთებული პროცედურები<br>ნარჩენების განთავსების მოწყობილი ადგილი |
| 3.2 1 | მეორადი აკუმულატორების განთავსება შესაბამისი ავტორიზებული კონტრაქტორის მიერ. ნარჩენების გადატვირთვის სადგურის პერიმეტრზე ამჟამად დარჩენილი სამშენებლო ნარჩენების გატანის დასრულება.<br>ნარჩენების გადასატვირთ სადგურსა და საწარმოო ეზოებში პერიოდული შემოწმებების ჩატარების უზრუნველყოფა შიდა დასუფთავებაზე ყურადღების გამახვილებით. | დაბინძურების მინიმუმამდე დაყვანა<br><br>შემარბილებელი ღონისძიებები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების შესაბამისად | EBRD PR3<br>საუკეთესო გამოცდილება | კომპანიის შიდა რესურსები | Q-4, 2019 | ნარჩენების სათანადოდ განთავსება<br><br>განთავსების ჩანაწერები<br>შემოწმების ჩანაწერები |
| 3.2 2 | ახალი ავტომობილების შერჩევისას, მათ შორის ენერგოეფექტურობა, ემისიები, საიმედოობა და ვარგისიანობის სავარაუდო ვადები, ხმაური, ვიბრაცია და ოპერატორების ერგონომიკა, გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ასპექტების გასათვალისწინებლად უნდა განხორციელდეს ოფიციალური/დოკუმენტირებული პროცესი. | რესურსების ეფექტურობა | EBRD PR3 და PR4<br>საუკეთესო გამოცდილება | კომპანიის შიდა რესურსები | ახალი მანქანების შეძენამდე | შემუშავებული პროცედურები<br><br>ავტომობილების შეფასების ჩანაწერები |
| 3.2 3 | დიდი ლილოს ნაგავსაყრელის ოპერირებისა და დახურვის შემდეგ მონიტორინგის გეგმა უნდა განხორციელდეს ჰიდროგეოლოგიური რისკის შეფასების მითითებების შესაბამისად, იმის საჩვენებლად, რომ ნაგავსაყრელი ოპერირებს პროექტის მიხედვით და განისაზღვროს, ზემოქმედებს თუ არა ნაგავსაყრელის მუშაობა მიმღები წყლის გარემოს ხარისხზე. ეს მოიცავს:<br><br>• ნაკური წყლის სამონიტორინგო ქსელის დაყენება და მონიტორინგი თითოეულ უჯრედზე და ნაკური წყლის დონის, ნაკადისა და ქიმიური შემადგენლობის პერიოდული შემოწმება; | დაბინძურების მინიმუმამდე დაყვანა<br>შემარბილებელი ღონისძიებები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების შესაბამისად | EBRD PR3<br>დიდი ლილოს ნაგავსაყრელის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა | კომპანიის შიდა რესურსები<br>გარე კონსულტანტები | Q-4, 2020 | სამონიტორინგო გეგმაში შეყვანილი მონიტორინგის რეკომენდაციები<br>მონიტორინგში ჩართული კონსულტანტი<br>მონიტორინგის მონაცემები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ▪ გრუნტის წყლების დამატებითი სათვალთვალო ჭაბურღილების მოწყობა და გრუნტის წყლების ხარისხის პერიოდული შემოწმება;<br>▪ მდ. მარტყოფისხევის პერიოდული შემოწმება, რომელიც არის ობიექტის ქვემოთ გრუნტის წყლების ჰიდრავლიკური გაგრძელება, იმისათვის, რომ მოხდეს მოდელით მიღებული ვარაუდების შემოწმება და შეფასდეს შესაძლო ზემოქმედება დაღმა მდებარე ზედაპირულ წყლებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);<br>▪ ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედების შემთხვევაში, უნდა შეფასდეს მონაცემები გრუნტის წყლების მონაცემებთან ერთად შესაძლო კავშირების შესაფასებლად.<br><br>ნაგავსაყრელზე დამატებითი სამონიტორინგო მონაცემების შეგროვების შემდეგ უნდა მოხდეს ჰიდროგეოლოგიური რისკის გადახედვა ობიექტისთვის დამახასიათებელი და არსებული მონაცემების გამოყენებით. | | | | | |
| PR 4 – ჯანმრთელობა და უსაფრთხოება | | | | | | |
| 4.1 | გადაიხედოს შემთხვევებზე რეაგირების ანგარიშგების სისტემა ყველა შემთხვევის შესახებ სტატისტიკის შესანარჩუნებლად, რაშიც შევა ნებისმიერი ტენდენციების შეფასება, ასევე მცირე/პირველადი სამედიცინო დახმარების შემთხვევები, სახიფათო სიტუაციები და გარემოსდაცვითი შემთხვევები. | ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ეფექტურობის მუდმივი გაუმჯობესება | EBRD PR2, PR3 და PR4 | კომპანიის შიდა რესურსები | ბანკის ინვესტირებიდან 6 თვის განმავლობაში | შემთხვევებზე რეაგირების ანგარიშგების ჩანაწერები შემთხვევების გამოძიების ჩანაწერები |
| 4.2 | რისკების შეფასება უნდა ჩატარდეს შესაძლო საავარიო სიტუაციების გამოსავლენად, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს თბილსერვის ჯგუფის ობიექტებზე (ხანძარი, აფეთქება, მიწისძვრა, ქიმიური / ნარჩენებით დაბინძურება და სხვა). | ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების საფრთხის მინიმუმამდე დაყვანა | EBRD PR4<br>საუკეთესო პრაქტიკა | შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | ბანკის ინვესტირებიდან 12 თვის განმავლობაში | ჩატარებული საფრთხეების შეფასება<br>ოფიციალური შემუშავებული საავარიო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა<br>სწავლების ჩანაწერები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ავარიაზე რეაგირების ოფიციალური გეგმები უნდა შეიმუშაონ ყველა ობიექტისთვის და მოიცავდეს რისკების შეფასებით განსაზღვრულ ყველა სიტუაციას.<br><br>გეგმები მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს პასუხისმგებლობების და შიდა და გარე კავშირის სქემებს, ხოლო მთელს პერსონალს გავლილი უნდა ჰქონდეს სწავლება რეაგირების მოქმედებების განხორციელებაში.<br><br>ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დიდი ლილოს ხანძარსაშიში ადგილების შესახებ საბუთები უნდა გადაეცეს მარეგულირებელს. | | | | | |
| 4.3 | ყველა დაკავებულ შენობაში უნდა განხორციელდეს სახანძრო საევაკუაციო გზებისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზომების რისკების შეფასება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს თავის დაღწევის შესაძლებლობა.<br><br>სახანძრო გასასვლელების მონიშვნა უნდა გაუმჯობესდეს, რათა გასასვლელი გზების დანახვა შესაძლებელი იყოს სამუშაო ადგილებიდან. ასევე გასასვლელები უნდა იყოს თავისუფალი.<br><br>უნდა განხორციელდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული საევაკუაციო გეგმის მოთხოვნები, რაც მოიცავს ხანძრის დეტექტორების, გამაფრთხილებელი და ცეცხლსაქრობი აღჭურვილობის დაყენებას და პერსონალისთვის სათანადო სახანძრო უსაფრთხოების სწავლების ჩატარებას. უნდა შეიმუშაონ და გატარდეს ყველა ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის გეგმიური შემოწმებისა და მოვლის სამუშაოების რეჟიმი. | ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების საფრთხის მინიმუმამდე დაყვანა | EBRD PR4<br>შინაგან საქმეთა სამინისტროს საევაკუაციო გეგმის მოთხოვნები, ადგილობრივი კანონმდებლობა | შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | ბანკის ინვესტირებიდან 12 თვის განმავლობაში | საფრთხეების დასრულებული შეფასება<br><br>დაყენებული სახანძრო საევაკუაციო ნიშნები<br><br>შემუშავებული სამოქმედო გეგმა სხვა ხანძარსაწინააღმდეგო და ცეცხლსაქრობი ზომების მისაღებად<br><br>სახანძრო უსაფრთხოების სწავლებისა ჩანაწერები |
| 4.4 | უნდა შეიმუშაონ და განხორციელდეს მაღალი | ინციდენტებისა და | EBRD PR4 | კომპანიის შიდა | Q-4, 2019 | დასაბუთებული სისტემური |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რისკის შემცველი სამუშაოების განხორციელებისთვის ნებართვის მოპოვების ოფიციალური სისტემა, რაც მოიცავს მაგ: ელექტრო-ტექნიკურ სამუშაოებს და დახურულ სივრცეებში შესასრულებელ სამუშაოებს. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ქალაქის განათების სამსახურში უკვე არსებული სისტემის გაფართოებით. ასევე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ალჭურვილობის ფიზიკური იზოლაციის პროცედურები, ტექნიკური მომსახურების განხორციელების დროს. | უბედური შემთხვევების საფრთხის მინიმუმამდე დაყვანა | საუკეთესო გამოცდილება | რესურსები, გარე კონსულტანტები | | პროცედურები |
| 4.5 | უნდა განხორციელდეს ყველა პოტენციური დახურული სივრცის რისკების შეფასება, ყველა იმ ადგილისათვის, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს დახურულ სივრცედ. ასევე უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს შესაბამისი ზომები დახურულ სივრცეებში შესვლისა და მათთან დაკავშირებული საფრთხეების სამართავად. | ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების საფრთხის მინიმუმამდე დაყვანა | EBRD PR4 საუკეთესო გამოცდილება | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და უსაფრთოხების სისტემის შემუშავების ფარგლებში | საფრთხეების შესრულებული შეფასება დასაბუთებული სისტემური პროცედურები |
| 4.6 | ნარჩენების გადასატვირთი ადგილის და მანქანების ტექნიკური შემოწმების ორმოების ირგვლივ მისვლადობის გასაკონტროლებლად უნდა ჩატარდეს რისკების დეტალური შეფასება. საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების გატარება, კერძოდ: გამაფრთხილებელი ნიშნების, ღობეების, უსაფრთხოების ბადეების, ორმოების სახურავების ან/და ჩავარდნისგან დამცავი ალჭურვილობის მოწყობა. | ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების საფრთხის მინიმუმამდე დაყვანა | EBRD PR4 საუკეთესო გამოცდილება | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და უსაფრთოხების სისტემის შემუშავების ფარგლებში | საფრთხეების დასრულებული შეფასება დასაბუთებული სისტემური პროცედურები |
| 4.7 | ტრანსპორტის მოძრაობის რისკების შეფასებასთან ერთად, უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს თბილსერვის ჯგუფის პერსონალისთვის მესამე პირის ავტომანქანებიდან მოსალოდნელი საფრთხეების დეტალური შეფასება. უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს გამოვლენილი საფრთხეების შემარბილებელი ზომები. საჭიროა საფეხმავლო ბილიკების მოწყობა, მონიშვნა, შეღობვა და შესვლის | ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების საფრთხის მინიმუმამდე დაყვანა | EBRD PR4 საუკეთესო გამოცდილება | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და უსაფრთოხების სისტემის შემუშავების ფარგლებში | საფრთხეების დასრულებული შეფასება<br><br>შემარბილებელი ღონისძიებების ჩანაწერები<br><br>დასაბუთებული სისტემური პროცედურები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კონტროლი გადატვირთული მოძრაობის ადგილებსა და სხვა სახიფათო ადგილებში. | | | | | |
| 4.8 | უნდა განხორციელდეს ერგონომიული რისკების შეფასება მექანიკური მართვის მუშაკებისთვის. ასევე უნდა ჩატარდეს დეტალური ერგონომიული რისკების დეტალური კვლევა, რომელიც დაკავშირებულია მძღოლის კაბინის კონფიგურაციასთან და მთლიანი ტანის ვიბრაციასთან. | ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების საფრთხის მინიმუმამდე დაყვანა | EBRD PR4<br>საუკეთესო გამოცდილება | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და უსაფრთოხების სისტემის შემუშავების ფარგლებში | საფრთხეების დასრულებული შეფასება<br><br>შემარბილებელი ღონისძიებების ჩანაწერები<br><br>დასაბუთებული სისტემური პროცედურები |
| 4.9 | მთელ ტერიტორიაზე უნდა ჩატარდეს კვლევა, აზბესტის შემცველი მასალების გამოვლენის მიზნით. ასევე უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს გამოვლენილი აზბესტის შემცველი მასალების რეგისტრაციის ჟურნალი, ადგილმდებარეობის გეგმით.<br><br>იმ ადგილებში, სადაც კვლევის შედეგად აღმოჩნდება აზბესტის შემცველი მასალები საჭიროა მათი ტერიტორიიდან გატანა ავტორიზებული/ლიცენზირებული კონტრაქტორის მეშვეობით, ან შედარებით დაბალი საფრთხის შემცველი მასალების შემთხვევაში, შესაძლებელია მათი ადგილზე მართვა/დახარისხება აზბესტის მართვის დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად, რომელიც მოიცავს მასალების ეტიკეტირებას, დაზიანების პრევენციის პროცედურებს და დოკუმენტირებულ პერიოდულ ინსპექტირებას, რათა მოხდეს გაუარესების/დაზიანების აღმოჩენა. ქმედებები უნდა განხორციელდეს კვლევის შედეგების შესაბამისად.<br>მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს პროცედურებს და უსაფრთხოების ზომებს ობიექტზე შემოსულ ნარჩენში აზბესტის იდენტიფიცირებისა და მართვისათვის. | უსაფრთხო სამუშაო გარემო და მუშახელის ჯანდაცვის უზრუნველყოფა | EBRD PR4 | გარე კონსულტანტები | Q-4, 2019 | კვლევის ანგარიშები<br><br>საფრთხეების დასრულებული შეფასება<br><br>აზბესტის (რეგულარულად განახლებადი) განთავსების დოკუმენტაცია |
| 4.10 | 2016 ჰაერის მონიტორინგის ანგარიში, რომელიც მომზადებულია დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ, უნდა იქნეს განხილული შესაფერისად | უსაფრთხო სამუშაო გარემო და მუშახელის ჯანდაცვის უზრუნველყოფა | EBRD PR4 | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | Q-4, 2019 | განხორციელებული განხილვა რისკების შეფასება შემუშავებული ქმედებების |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კვალიფიციური პირის მიერ და უნდა მოხდეს ამოჩენილი საკითხების რისკების შეფასება. ასევე უნდა მომზადდეს და განხორციელდეს მოქმედების გეგმა, რომელიც ორიენტირებული იქნება ნებისმიერი სახის რისკების აღმოფხვრაზე.<br><br>უნდა მოხდეს სახიფათო ქიმიკატების რეგისტრაცია, მასალების უსაფრთხოების ინფორმაციის ფურცელი (MSDS) უნდა იქნეს მოპოვებული ყველა სახის ქიმიკატისთვის და განხორციელდეს რისკების შეფასება, რათა დადგინდეს შესაფერისი განთავსების და მოპყრობის მეთოდი ყველა სახის მასალისთვის, ასევე სეგრეგაციის მოთხოვნები შეუთავსებელი მასალებისთვის. | | | | | გეგმა<br>ქიმიკატების სარეგისტრაციო ჟურნალი<br>ქიმიკატების მართვის განახლებული პროცედურები |
| 4.11 | თბილსერვის ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს, რომ პირადი დაცვის აღჭურვილობას (PPE) იმ ადგილებში, სადაც ეს სავალდებულოა, იყენებდეს ყველა თანამშრომელი. PPE აღჭურვილობის გამოყენების სავალდებულოების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი ნიშნები უნდა განთავსდეს შესაბამის ადგილებში.<br><br>ყველა თანამშრომელი აღჭურვილი უნდა იყოს რესპირატორით. პერსონალთან უნდა ჩატარდეს კონსულტაციები, რათა შეირჩეს რესპირატორის ყველაზე შესაფერისი ტიპი. ასევე უნდა ჩატარდეს რესპირატორის მოზომვა. | უსაფრთხო სამუშაო გარემო და მუშახელის ჯანდაცვის უზრუნველყოფა | EBRD PR4 | კომპანიის შიდა რესურსები, | Q-4, 2019 | გამოკრული ნიშნები PPE-ის გამოყენების სავალდებულოების შესახებ<br><br>PPE გამოიყენება რეგულარულად<br>რესპირატორების მოზომვის შედეგები<br><br>PPE ნიშნების ადგილზე არსებობა<br><br>PPE ტრეინინგი |
| 4.1<br>2 | უნდა განხორციელდეს ნარჩენების ოპერატორებზე მოქმედი ხმაურის მონიტორინგი ცვლის განმავლობაში.<br>კანონმდებლობით დადგენილი ნორმების გადაჭარბების შემთხვევაში უნდა გატარდეს შესაბამისი კონტროლის ღონისძიებები (პირადი დაცვის საშუალებების გამოყენება ან სამუშაო ადგილის მოდიფიცირება). | უსაფრთხო სამუშაო გარემო და მუშახელის ჯანდაცვის უზრუნველყოფა | EBRD PR4<br>ქართული კანონმდებლობა და სტანდარტები | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | Q-4, 2020 | მონიტორინგის შედეგები<br>შემარბილებელი ღონისძიებების ჩანაწერები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 4.13 | ყველა ობიექტი უნდა აღიჭურვოს საკმარისი რაოდენობის პირველადი დახმარების ნაკრებებით. ასევე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პირველადი დახმარების სწავლების ჩატარება საკმარისი რაოდენობის პერსონალისთვის, რათა ინციდენტის შემთხვევაში მოხდეს ადეკვატური რეაგირება. აღნიშნული უნდა მოიცავდეს ყველა სამუშაო ადგილს და სამუშაო ცვლას. | უსაფრთხო სამუშაო გარემო და მუშახელის ჯანდაცვის უზრუნველყოფა | EBRD PR4 საუკეთესო გამოცდილება | კომპანიის შიდა რესურსები | Q-4, 2019 | პირველადი დახმარების ყუთების მონტაჟი ტრეინინგის ჩანაწერები |
| 4.14 | უნდა განხორციელდეს სახელოსნოში არსებული ტექნიკის რისკების შეფასება, რათა მოხდეს უსაფრთხოების და პოტენციური დაზიანების შეფასება. აღნიშნული უნდა განხორციელდეს გარე სპეციალისტის მიერ.<br><br>შემუშავდეს და განხორციელდეს მოქმედების გეგმა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შეფასების დროს გამოკვეთილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. აღჭურვილობის შეცვლისას, მისი შერჩევის ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს მისი უსაფრთხოება. | ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების საფრთხის მინიმუმამდე დაყვანა | EBRD PR4 საუკეთესო გამოცდილება | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | Q-4, 2019 | რისკების შეფასების ანგარიში ქმედებების გეგმა |
| 4.15 | განხორციელდეს ამწეების და სხვა ამწე დანადგარების ინსპექტირების პროგრამების განხილვა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ყველა ნორმატიული ინსპექტირების მოთხოვნებთან შესაბამისობა. | ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების საფრთხის მინიმუმამდე დაყვანა | EBRD PR4 საუკეთესო გამოცდილება | კომპანიის შიდა რესურსები, გარე კონსულტანტები | Q-4, 2019 | ინსპექტირების გრაფიკი და ანგარიშები |
| PR 5 – მიწის შეძენა, იძულებითი განსახლება და ეკონომიკური გადაადგილება | | | | | | |
| 5.1 | საარსებო პირობების აღდგენის გეგმის შემუშავება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ნარჩენების ამღებების საარსებო პირობების აღდგენა და გაუმჯობესება. | შემცირებული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების რისკები ნარჩენების ამღებებისთვის | PR5 | მართვა | საჭიროებისამებრ | საარსებო პირობების აღდგენის გეგმა და რიგი ქმედებებისა, რათა გაუმჯობესდეს ნარჩენების ამღებების საცხოვრებელი პირობები, ასევე მათთვის ალტერნატიული სამუშაოს ან საცხოვრებელი ადგილის შექმნა |
| 6.1 | 2018 წლის მონიტორინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ნაგავსაყრელის უჯრედების რეკულტივაციის | ბიომრავალფეროვნების დაცვა | EBRD PR3 და PR6 | კომპანიის შიდა რესურსები | Q-4, 2019 | მართვის გეგმა და პროცედურები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დროს არის სარეველა ბალახის გავრცელების რისკი, ამიტომ შემუშავებულ უნდა იქნეს მონიტორინგისა და ჰერბიციდების პროგრამა. აღნიშნული პროგრამა გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნაგავსაყრელის ოპერირების პროცედურებში. | შემარბილებელი ღონისძიებები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების შესაბამისად | საუკეთესო გამოცდილება | | | მონიტორინგის ჩანაწერები |
| 6.2 | შემუშავებულ უნდა იქნას რისკის მართვის გეგმა ჩიტებისათვის და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესაბამისად უნდა ჩატარდეს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი. | ბიომრავალფეროვნების დაცვა შემარბილებელი ღონისძიებები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების შესაბამისად | EBRD PR3 და PR6 საუკეთესო გამოცდილება | კომპანიის შიდა რესურსები | Q-4, 2019 | მართვის გეგმა და პროცედურები<br><br>მონიტორინგის ჩანაწერები |
| PR 10 – ინფორმაციის გასაჯაროება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა | | | | | | |
| 10.1 | დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის და საჩივრების მიღების/ განხილვის პროცედურების შემუშავება. | საზოგადოებაზე ზემოქმედების და კონფლიქტების შემცირებული რისკი | PR10 | კომპანიის შიდა რესურსები | Q-2, 2019 | დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა და საჩივრების მიღების/განხილვის პროცედურა |
| 10. 2 | საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის დანიშვნა, რომელსაც დაექვემდებარება სოციალური საკითხები თბილსერვის ჯგუფის ყველა ობიექტიდან. | საზოგადოებაზე ზემოქმედების შემცირებული რისკი | PR10 | HR | Q-4, 2018 | დანიშნული საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი |
| 10. 3 | ობიექტების მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობასთან რეგულარული კონსულტაციების გამართვა. | საზოგადოებაზე ზემოქმედების შემცირებული რისკი | PR10 | საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი | Q-4, 2018 | ადგილობრივ მოსახლეობასთან რეგულარული კონსულტაციები<br><br>კონსულტაციების ჩანაწერები<br><br>დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა |

(საოპერაციო ნომერი 52577)

# პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება

(თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა

და

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს

შორის

2021 წლის ___________

# სარჩევი


**მუხლი I - სტანდარტული ვადები და პირობები და ტერმინების განმარტებები 1**

ნაწილი 1.01. სტანდარტული ვადებისა და პირობების გათვალისწინება 1
ნაწილი 1.02. ტერმინების განმარტებები 1
ნაწილი 1.03. ინტერპრეტაცია 2
ნაწილი 1.04. დასტური 2

**მუხლი II - მხარდაჭერის ვალდებულებები 2**

ნაწილი 2.01. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ნაკისრი მხარდაჭერის ვალდებულებები 2
ნაწილი 2.02. ფინანსური ვალდებულებები 4
ნაწილი 2.03. ქვესასესხო ხელშეკრულება 4

**მუხლი III - ფინანსური და საოპერაციო დათქმები 5**

ნაწილი 3.01. ფინანსური აღრიცხვიანობა და ანგარიშები 5
ნაწილი 3.02. სხვა ფინანსური დათქმები 5

**მუხლი IV - სხვადასხვა 5**

ნაწილი 4.01. ძალაში შესვლა 5
ნაწილი 4.02. შეწყვეტა 5
ნაწილი 4.03. გაუქმება და შეჩერება 5
ნაწილი 4.04. შეტყობინებები 6
ნაწილი 4.05. სამართლებრივი დასკვნა 6

## პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება

ხელშეკრულება დათარიღებულია 2021 წლის ______________ და ფორმდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (შემდგომში „ბანკი") შორის.

**ვინაიდან** საქართველომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა და შპს „თბილსერვის ჯგუფმა" (შემდგომში „პროექტის ორგანიზაცია") ბანკისგან ითხოვეს დახმარება პროექტის დაფინანსების მიზნით;

**ვინაიდან** საქართველოსა (შემდგომში „მსესხებელი") და ბანკს შორის დღევანდელი დღით დათარიღებული სასესხო შეთანხმების (შემდგომში სტანდარტულ ვადებსა და პირობებში განსაზღვრული „სასესხო შეთანხმება") შესაბამისად, ბანკი თანახმაა მსესხებელს გამოუყოს სესხი 9,600,000 (ცხრა მილიონ ექვსასი ათასი) ევროს ოდენობით, სასესხო შეთანხმებაში განსაზღვრული პირობების საფუძველზე, იმ პირობით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის პროექტის ორგანიზაციას სათანადო დახმარებას გაუწევს, რომ პროექტი წარმატებით განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულებაში განსაზღვრულის თანახმად;

**ვინაიდან** ბანკმა და პროექტის ორგანიზაციამ გააფორმეს პროექტის განხორციელების ხელშეკრულება, და

**ვინაიდან** იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი სასესხო შეთანხმებას აფორმებს მსესხებელთან, ხოლო მსესხებელი – ქვესასესხო ხელშეკრულებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და პროექტის ორგანიზაციასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი თანახმაა, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაში განსაზღვრული ვალდებულებები იკისროს.

**შესაბამისად,** მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

### მუხლი I - სტანდარტული ვადები და პირობები და ტერმინების განმარტებები

### ნაწილი 1.01. სტანდარტული ვადებისა და პირობების გათვალისწინება

(ა) ბანკის 2018 წლის 1 ოქტომბრით დათარიღებული სტანდარტული ვადებისა და პირობების ყველა დებულება, სასესხო შეთანხმებაში შეტანილი ცვლილებებით აქვეა გათვალისწინებული და გამოიყენება წინამდებარე ხელშეკრულებაში იმავე ძალითა და ეფექტით, როგორც უშუალოდ აქ იქნებოდა სრულად განსაზღვრული (ხსენებული დებულებები ამგვარი სახეცვლილებით მოიაზრება „სტანდარტულ ვადებად და პირობებად").

(ბ) სტანდარტული ვადებისა და პირობების მიზნებისთვის, წინამდებარე ხელშეკრულება მიიჩნევა „პროექტის ხელშეკრულებად", ხოლო თბილისის მუნიციპალიტეტი კი – „პროექტის ორგანიზაციად".

### ნაწილი 1.02. ტერმინების განმარტებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში (მათ შორის პრეამბულაში) გამოყენებული ტერმინები იმ შემთხვევების გარდა, როდესაც კონტექსტი სხვაგვარად მოითხოვს, განმარტებულია პრეამბულაში მითითებული მნიშვნელობებით, ხოლო სტანდარტულ ვადებსა და პირობებში, პროექტის განხორციელებისა და სასესხო შეთანხმებებში განსაზღვრული ტერმინები – იქვე მითითებული მნიშვნელობებით და ქვემოთ მოყვანილი ტერმინები განიმარტება შემდეგნაირად:

„საოპერაციო სალდო"   გულისხმობს ნებისმიერ ფისკალურ წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმდინარე შემოსავლებს გამოკლებული მიმდინარე ხარჯები.

„ვალი“   გულისხმობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ყველა ვალდებულებას, რომელიც გამოხატულია არსებული, სამომავლო, ფაქტიური ან საეარაუდო ძირითადი თანხის ან თავდებობის სახით და მოიცავს თანხების გადახდას ან დაბრუნებას, მათ შორის:

(a) ნებისმიერ თანხას, რომელსაც თბილისის მუნიციპალიტეტი შესაბამის პერიოდებში გადაიხდის იჯარისთვის ან მსგავსი გარიგებებისათვის;

(b) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საქონლის მიმწოდებლის მიერ მისაღები ნებისმიერი კრედიტი ან ნებისმიერი ნაწილის შესყიდვის ან მსგავსი გარიგებების ფარგლებში; და

(c) მესამე მხარისადმი ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც გარანტირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ან თბილისის მუნიციპალიტეტს სხვაგვარად აქვს ნაკისრი ვალდებულება მათ გადახდაზე, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებით უზრუნველყოფილ ვალდებულებებზე, იმისდა მიუხედავად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ამ ვალდებულების გადახდაზე აღებული აქვს თუ არა პასუხისმგებლობა.

„ფისკალური წელი"   გულისხმობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფისკალურ წელს, რომელიც იწყება ყოველი წლის 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

**ნაწილი 1.03.   ინტერპრეტაცია**

სხვაგვარად განსაზღვრული შემთხვევების გარდა, წინამდებარე ხელშეკრულების კონკრეტულ მუხლზე, ნაწილზე ან დანართზე მითითება გულისხმობს უშუალოდ ამგვარ მუხლზე, ნაწილზე ან დანართზე მითითებას.

**ნაწილი 1.04.   დასტური**

ქალაქს მიეწოდა და აქვე ადასტურებს სასესხო და საპროექტო შეთანხმებების ხელშეკრულების ასლის მიღებას.

## მუხლი II - მხარდაჭერის ვალდებულებები

**ნაწილი 2.01.   ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ნაკისრი მხარდაჭერის ვალდებულებები**

იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ბანკთან სხვაგვარად შეთანხმდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ყველა საჭირო საკანონმდებლო, მარეგულირებელ და სხვა სახის ზომას მიმართავს (და ბანკს დაუდასტურებს, რომ ხსენებულ ზომებს მიმართა), რათა პროექტის ორგანიზაციამ შეძლოს ფუნქციონირება და დროულად

განახორციელოს ყველა ის ფინანსური და სხვა სახის ვალდებულება, რომელიც პროექტის განხორციელების ხელშეკრულებაშია განსაზღვრული. ყოველივე ზემოთქმული გულისხმობს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

(1) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა მსესხებელთან უნდა გააფორმოს ქვესასესხო ხელშეკრულება და პროექტის ორგანიზაციისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ქვესასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რესურსი;

(2) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა მხარი უნდა დაუჭიროს პროექტის ორგანიზაციას პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში ფინანსური რესურსის გამოყოფით ან უზრუნველყოფით და პროექტის განხორციელების ხელშეკრულების ფარგლებში პროექტის ორგანიზაციის მიერ ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში მხარდაჭერის უზრუნველყოფით;

(3) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს, პროექტის ორგანიზაციის მიერ პროექტის განხორციელების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

(4) როდესაც პროექტის განხორციელების ხელშეკრულების ფარგლებში პროექტის ორგანიზაციის მიერ ნაკისრი რომელიმე ვალდებულების შესრულება საჭიროებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ან რომელიმე შესაბამისი უწყების ან ორგანოს ნებართვას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა დროულად უნდა გასცეს ის (ან უზრუნველყოს შესაბამისი უწყების ან ორგანოს მიერ ხსენებული ნებართვის დროული გაცემა) შესაბამისი კანონის ფარგლებში;

(5) ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა არ უნდა (და უზრუნველყოს, რომ არც პროექტის ორგანიზაციამ) მოახდინოს პროექტის ორგანიზაციის მიერ გამოყენებული აქტივების სრული ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვა, გასხვისება, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი ხელყოფა (ერთჯერადად ან მრავალჯერადად, დაკავშირებული ან დაუკავშირებელი ოპერაციის განხორციელების გზით), რაც მისი საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვისაა საჭირო ან რომლის ხელყოფაც შეიძლება, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდეს პროექტის განხორციელების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დამაკმაყოფილებელი სახით განხორციელების შესაძლებლობას;

(6) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა ხელი არ უნდა შეუშალოს პროექტის ორგანიზაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაკორექტირებელი ქმედების განხორციელებას ნებისმიერი მისი მომხმარებლის მიმართ (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, სამთავრობო და მუნიციპალურ დეპარტამენტებს, უწყებებსა და სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ საწარმოებს), რომლებიც ვერ შეასრულებენ პროექტის ორგანიზაციის წინაშე ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებებს;

(7) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა არ უნდა დაუშვას პროექტის ორგანიზაციის მიერ მის წესდებაში ცვლილებების შეტანა, შეწყვეტა ან გაუქმება ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, იმგვარად, რომ ამან მატერიალური და საზიანო გავლენა მოახდინოს პროექტის ორგანიზაციის საოპერაციო და ფინანსურ შესაძლებლობებზე ან უარყოფითად იმოქმედოს მის შესაძლებლობაზე, წარმატებით განახორციელოს პროექტი;

(8) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა ყველა ზომას უნდა მიმართოს და განსაკუთრებით კი თავად მიიღოს ან უზრუნველყოს გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად საჭირო ყველა მარეგულირებელი დოკუმენტის მიღება;

(9) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა მუდმივად უნდა იზრუნოს პროექტის ორგანიზაციის მიერ სესხების ლიმიტის დაცვაზე, რათა ის არ გასცდეს პროექტის ორგანიზაციის წესდებით ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ზღვარს;

(10) გაათავისუფლოს ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან, რომელთა მოთხოვნის უფლებაც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გააჩნია პროექტის ორგანიზაციის ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი საქონელსა და სერვისებთან დაკავშირებით, რომელთა შეძენაც მოხდა პროექტის ფარგლებში და დაფინანსებულია სესხის ან გრანტის თანხებით;

(11) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა არ უნდა გაასხვისოს, გადასცეს ან სხვაგვარად ხელყოს პროექტის ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალი სრულად ან ნაწილობრივ, არც დაუშვას რაიმე სახის შერწყმა, კონსოლიდაცია, რეორგანიზაცია ან ცვლილება პროექტის ორგანიზაციის იურიდიულ ფორმაში, ბენეფიციარულ მფლობელობაში ან კონტროლში, ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე, იმგვარად, რომ ამან მატერიალური და საზიანო გავლენა მოახდინოს პროექტის ორგანიზაციის საოპერაციო და ფინანსური შესაძლებლობებზე ან უარყოფითად იმოქმედოს მის შესაძლებლობაზე, წარმატებით განახორციელოს პროექტი;

(12) ითანამშრომლოს ნებისმიერი დაინტერესებული მხარის საკონსულტაციო ან საზოგადოებრივი განხილვის კამპანიასთან, რაც შემოთავაზებულია კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის პროგრამების ფარგლებში და მონაწილეობა მიიღოს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის პროგრამის განხორციელებაში;

(13) კორპორატიული განვითარების და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის პროგრამებზე საკონსულტაციო ხელშეკრულებების გაფორმებიდან არა უგვიანეს 30 თვისა, კორპორაციული განვითარების და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის პროგრამების კონსულტანტების რეკომენდაციების საფუძველზე, ქალაქ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, მიიღოს მყარი ნარჩენების ტარიფის გაუმჯობესებული მეთოდოლოგია ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმითა და შინაარსით;

(14) კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის პროგრამებზე საკონსულტაციო ხელშეკრულებების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 თვისა, გააფორმოს საჯარო მომსახურების კონტრაქტი პროექტის ორგანიზაციასთან.

### ნაწილი 2.02. ფინანსური ვალდებულებები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი არ უნდა გასცდეს საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის ადგილობრივი კანონმდებლობით განსაზღვრულ სესხების ლიმიტს, სადაც ეს დროდადრო რელევანტურია.

### ნაწილი 2.03. ქვესასესხო ხელშეკრულება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა უნდა შეასრულოს ქვესასესხო ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ყველა ვალდებულება. თუ ბანკთან სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა არ უნდა განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც იმოქმედებს ქვესასესხო ხელშეკრულებაზე ან თანხის გადაცემის ხელშეკრულებაზე ან მის პირობებზე ცვლილების, გაუქმების, გასხვისების ან ანულირების სახით.

## მუხლი III - ფინანსური და საოპერაციო დათქმები

**ნაწილი 3.01.** **ფინანსური აღრიცხვიანობა და ანგარიშები**

(ა) 2021 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და ყოველი მომდევნო ფისკალური წლისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა ბანკს უნდა წარუდგინოს:

(1) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბოლოო წლიური ბიუჯეტი, როგორც კი ხელმისაწვდომი გახდება საკრებულოს მიერ მისი დამტკიცების შემდეგ;

(2) წინა ფისკალური წლისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, როგორც კი ხელმისაწვდომი გახდება ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ მისი დამტკიცების შემდეგ;

(3) წინა ფისკალური წლისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფინანსური ვალდებულების ასახვით ხსენებული ფისკალური წლის ბოლოსთვის, როგორც კი ხელმისაწვდომი გახდება.

(ბ) სანამ ბანკისგან სხვაგვარი შეტყობინება არ იქნება მიღებული, ბანკს წარმოუდგინოს ნაწილში 3.01(ა) განსაზღვრული დოკუმენტები, რომელთა წარმოდგენა შესაძლებელია საოპერაციო ქვეყნის ოფიციალურ ენაზე.

**ნაწილი 3.02.** **სხვა ფინანსური დათქმები**

2021 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ყოველი ფისკალური წლისათვის იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ბანკთან სხვაგვარად იქნება შეთანხმებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა ვალი უნდა შეინარჩუნოს ქალაქის თბილისის მუნიციპალიტეტის წლიურ ბიუჯეტთან დაკავშირებული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში.

## მუხლი IV - სხვადასხვა

**ნაწილი 4.01.** **ძალაში შესვლა**

წინამდებარე ხელშეკრულება ამოქმედდება და ძალაში იქნება სასესხო შეთანხმების ამოქმედების დღიდან მასში განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

**ნაწილი 4.02.** **შეწყვეტა**

წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება სასესხო შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის თარიღზე, მასში განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

**ნაწილი 4.03.** **გაუქმება და შეჩერება**

სტანდარტული ვადებისა და პირობების VII თავში განსაზღვრული გაუქმების ან შეჩერების დათქმის მიუხედავად, წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა გააგრძელებს მოქმედებას სრული ძალითა და ეფექტით.

### ნაწილი 4.04. შეტყობინებები

სტანდარტული ვადებისა და პირობების ნაწილის 10.01 მიზნებისთვის განისაზღვრება შემდეგი მისამართები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი
7, შარტავას ქუჩა
0160 თბილისი
საქართველო

ადრესატი: ქალაქის მერი
ტელეფონი: +995-322-722222

ბანკისთვის:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
გაერთიანებული სამეფო, ლონდონი,
საფოსტო ინდექსი EC2A 2JN
იქსჩეინჯ მოედანი N1

ადრესატი: საოპერაციო ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ფაქსი: +44-20-7338-6100
ტელეფონი: +44-20-7338-6000
ელექტრონული ფოსტა: oad@ebrd.com

### ნაწილი 4.05. სამართლებრივი დასკვნა

სასესხო შეთანხმების 5.02(ბ) ნაწილის მიზნებისთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა ბანკს უნდა მიაწოდოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსის მიერ მომზადებული სამართლებრივი დასკვნა/დასკვნები ან უზრუნველყოს მათი მიწოდება (ბანკისთვის მისაღები ფორმითა და შინაარსით), სადაც ნაჩვენები იქნება, რომ წინამდებარე ხელშეკრულება და ქვესასესხო ხელშეკრულება ავტორიზებულია, ხელმოწერილი და მიწოდებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სახელით, წარმოადგენს ქმედით და იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის, რაც აღსრულდება შესაბამისი პირობების შესაბამისად.

ზემოხსენებულზე თანხმობის დასტურად ხელშეკრულების მხარეები მათი ჯეროვნად უფლებამოსილი წარმომადგენლების საშუალებით ხელს აწერენ წინამდებარე ხელშეკრულებას სამ ეგზემპლარად, (რომელთაგან ორი რჩება ბანკს, ხოლო ერთი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს) და იგზავნება [თბილისში, საქართველოში] ზემოთ პირველად მითითებულ დღესა და წელს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი

ხელმომწერი: ________________________

სახელი, გვარი:
თანამდებობა:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

ხელმომწერი: ________________

სახელი, გვარი:
თანამდებობა: